

# ახალი თაობა



## სოსო ოხანაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამბობს

მეუფე პეტრე: „მამა გიორგი უსამართლო პატიმარია“



20 ივლისიდან

შოი გვეტაძე

### მონაწილე

ქართული დემოკრატიული მე-14 ტომი

ფასი გაზაფხულზე ერთად 4 ლარი



შაბათი – კვირა, 22 – 23 ივლისი, 2017

№172 (7407)

ფასი: 50 თეთრი

# „გიგა ბოკერიას და მის ჯალათებს მარჯვს არ მოვანდობინებთ“



გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „აღმაშენებელზე ცოცხალი ჯაჭვის გაკეთებას ვერავინ აგვიკრძალავს“



## სანდრო ბრეგვაძე: „ქართული მარში არანაირი კონტრაქტის მოწყობას არ აპირებს“

### „მარგველაშვილს ვატოები სერიოზული პროცესების სათავესთან მიიყვანს“



რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი პოლიტიკაში ყოფნით დისკომფორტს განიცდიდა და ეს ტვირთი ჩამოიშორა“



ნიკა გვარამია: „სახელმწიფო ფინანსური დარტყმისთვის ემზადება“

### ქუმისიშვილი რუსთავე 2-ს ფულს სთხოვს



### „პროკურატურამ დააღბინა, რომ ბექა პეტრიაშვილი ციხეში უმიჯნოდ იჯდა“

დimitრი ლორთქიფანიძე: „მოვითხოვთ ამ საქმეში დამნაშავე ყველა პირის დასჯას“

### აგებს თუ არა საქართველო პასუხს აფგან მუსთარლის ბაბო?



გვ.5

### ზურაბ აბაშიძე: „ყაზახეთში საქართველო მოღაუბია“



გვ.5

ევროსასამართლოს გადანყვეტილებით, 5 აზერბაიჯანელ აქტივისტს 51 ათასი ევროს კომპენსაციას გადაუხდიან





# „გიგა ბოკერიას და მის ჯალათებს მარშს არ მოვანყოფინებთ“

შორენა მარსაგიშვილი

უნდა ველოდოთ თუ არა 23 ივლისს არეულობას თბილისში, რატომ არა აქვთ ნაციონალურ მარშს მონაწილეობის უფლება, რატომ ემუქრებიან საგარეო საქმეთა მინისტრს აქციებით, რა კავშირი აქვს ქართულ მარშთან ირაკლი ლარიბაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ლადო სადლობელაშვილი** ესაუბრება.

– 23 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე კიდევ ერთი მარშის მონაწილეობა იგეგმება, ქართული მარშის ორგანიზატორებმა განაცხადეთ, რომ მათ მარშის ჩატარების უფლებას არ მისცემთ, რა უფლებები უკრძალავთ მათ თავისი ნების გამოხატვას?

– იმიტომ ვუკრძალავთ, რომ მათ ამით ქართული სულისკვეთების ჩაკვლა სურთ. 14 ივლისს გამართულმა ქართულმა მარშმა სოროსეული და ანტიქართული ძალები ისტერიკაში ჩა-

– ბოკერია, მისი ცოლი თამარა და მთელი მავალი მრევლი. ნიკიტა ხრუშჩოვს ჰქონდა ასეთი იდეა – საქართველო ქართველების გარეშე. ის ქართველების გადასახლებას აპირებდა ციმბირში. ამის გაკეთება მას ვასილ მჭავანაძემ გადააფიქრებინა. ბოკერიასაც ეგ მიზანი აქვს.

გადასახლებით, მადლობა ღმერთს, ბოკერია ვერაფერს გადასახლებს, მაგრამ ანტიეროვნულ იდეოლოგიას აძლიერებს. სპობენ ეროვნულ იდეოლოგიას, გვაკინებენ ისტორიას. ისტორიასთან ბრძოლა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ნაციონალური ხშირად ამბობდნენ, საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება.

ბოკერიასნაირების წყალობით, საქართველოში დღეს ქართველებს და პატრიოტებს არ დაეღვრებათ. ყველაფერს გააკეთებენ, რომ ქართველები საქართველოდან გადაიხვეწონ. მერე ალბათ მივლენ ხრუშჩოვის საფლავთან და ჩასაძახებენ, შენი სურვილი შევასრულეთ.

23 ივლისს დაგეგმილი მარში არის ქართული მარშის კონტრაქცია. პირობას გაძლევთ, რომ ხრუშჩოვის გადმონაშთებს და სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს მარშს არ მოვანყოფინებთ. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამით წინაშე უძღვრება, ამიტომაც ამით თავებდობას ჩვენ აღვკვეთავთ.

– რა უფლებები აღკვეთავთ?

– იმ უფლებებით, რა უფლებითაც ეგენი ებრძვიან საქართველოს.

– შეხლა-შემოხლა რომ მოხდეს ამ აღკვეთილას და ის რაღაც ცუდ პროცესებში გადაიზარდოს, ეს არ იქნება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული?

– ჩვენ ყველაფერს გააკეთებთ, რომ ჯალათების თავხედობა მშვიდობიანად იქნას აღკვეთილი. ჩვენი ინფორმაციით, ბოკერია და მისი რაზმი თამარ მეფის და აღმაშენებლის გამზირის კვეთაზე შეიკრიბება და იქიდან დაიწყებენ მსვლელობას. ჩვენ შევიკრიბებით რკინიგზელთა სახლთან, სადაც აღვმართავთ ცოცხალ კედელს და ბოკერია-ნელებს მსვლელობის გაგრძელების საშუალებას არ მივცემთ.

– თქვენი აზრით, ცოცხალი კედლის დანახვის შემთხვევაში ისინი მარშზე უარს იტყვიან?

– იმედოვნობ, რომ ასე იქნება. ჩვენ ჩვენი მხრიდან არანაირი პროვოკაციის მონაწილას არ ვაპირებთ. მხოლოდ ჯაჭვს მოვანყოფთ, რომ ამ სისხლიანებმა აღმაშენებლის გამზირზე არ გაიპარონ.

ადგილზე იქნება კამერები, მედია და ყველა დააფიქსირებს, თუ რა მოხდება იქ. მე კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ჩვენ არანაირ პროვოკაციას ვაპირებთ. იმათგან კი არაფერი არ არის გამოირიცხეთ.

– გამოდის, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს?

– სადაც ბოკერია, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოდიო, პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს ადამიანი და მისი მომხრეები არიან არაადეკვატურები. შარშან, არჩევნების წინ, რეიტინგის ასანუვად, გივი თარგამაძე აფეთქეს მანქანაში და არ გამოვიკვრივებ, ჩვენი მიმართულებითაც ისროლონ რამე.

პოლიტიკურ დაპირისპირებაში ქვების სროლა ნაციონალურ დამკვიდრებულა. ახლაც ვამბობ, თუ იქ დაპირისპირება მოხდა, პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ მხარეს.

– იმ მხარეს რატომ? მარშის ჩაშლას თქვენ აპირებთ.

– ჩვენ პროვოკაციებს არ გვგეგმავთ. ჩვენ არ ვართ არეულობის და ძალადობის მომხრეები. ამის დასტური იყო ჩვენ მიერ მონაწილე მარში. ამ მარშმა ისე ჩაიარა, რომ ერთი ფოტოლიც კი არ შეჩვენულა.

– ფოტოები იმიტომ არ შეჩვენულა, რომ თქვენთვის ხელი არავის შეუშლია.



– ხელი რატომ უნდა შეეშალათ? მშვიდობიანი მარშის მონაწილეს უფლება ყველას აქვს.

– ყველას თუ აქვს უფლება, ბოკერიას რატომ არა აქვს?

– ზოგადად ყველას ყველაფრის უფლება აქვს. მე და ბოკერიას და სხვებსაც გვაქვს იმის უფლება, რომ გამოვიდეთ რუსთაველზე და მოვმარტოთ. არსად არ წერია, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ხომ არ ვაკეთებთ. ბოკერიას მარშზე როცა მიდის ლაპარაკი, აქ უკვე მორალურ უფლებებზეა საუბარი.

როგორ შეიძლება კრიმინალმა გივი თარგამაძემ აქცია გამართოს. ეგ ის გივი თარგამაძე არა, 2007 წელს ოპოზიციის სულის ამოხდით რომ ემუქრებოდა? ეგ ის კაცი არაა, 2008 წლის ომში რუსებს ფულს რომ სთავაზობდა, გორში ბომბი ჩამოაგდებოდა. ეს ამბავი თავად აღიარა და რუსეთთან მოლაპარაკებების დეტალებსაც დიდი სიამაყით ყვებოდა. და ეს უნამუსოები სხვას როგორ ეძახიან პრორუსულებს?

პრორუსულები და პუტჩისტები თავისკენ მოიკითხონ. მთელ თბილისს ახსოვს ბეტერზე ამხედრებული ავტომატიანი ბოკერია. სამოქალაქო ომში თარგამაძე და მამა-შვილი გაბაშვილიც კარგად მონაწილეობდნენ.

ამათ საქართველოს ათასი უბედურება და მართეს. ამათმა დანერგეს ის, რაც ნაცისტებსაც კი არ გაუკეთებიათ – ციხეებში დუბინკებით აუპატიურებდნენ კაცებს.

მე, ჩემი თანამოაზრეების სახელით ვაცხადებ, რომ ეს ჯალათები აღმაშენებელზე ვერ ჩაივლიან. ბოკერიას საქართველოში მარშს არ მოვანყოფინებთ.

– სხვა ქუჩაზე გავლის უფლებას მისცემთ?

– სიარულს ვერ დაეშუღით, მაგრამ მარშს არსად არ მოვანყოფინებთ. სოროსისტულ აზრებს აღარავის მოვანყოფინებთ თავზე.

დაიმახსოვრეთ, რომ 23 ივლისი იქნება კოაბიტაციის დასრულების დღე. ყველამ კარგად იცით, რომ „ოცნება“ სწორედ ბოკერიას გუნდთან არის კოაბიტაციაში შესული. ძალიან მჭიდროდ გადაეჯახნენ ერთმანეთს. ამიტომაც მოვლენად ხელისუფლებას, აღკვეთის მოვალეობაზე ჯალათების მზაკერული გეგმა. ქართული მარშის დისკრედიტაცია არ უნდა მოხდეს. ამ მარშით ჩვენ იმ საქმეს ვაკეთებთ, რაც წესით ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.

– ხელისუფლება თქვენი მარშით დიდად აღფრთოვანებული არ დარჩენილა.

– კოაბიტაციის უფლებები არიან და სხვას რას ელოდით? სხვებმა თავი შეიკავეს, მაგრამ კახა კალაძემ და მიხეილ ვაშაძემ ძალიან მონდომეს ვიღაცებისთვის თავის მოწონება.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო ჩემთვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები. მიხეილ ვაშაძისთან ეს, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

– რატომ გაგიკვირდათ, თავიდან მარშს თანაუგრძობდა?

– ვაშაძისთან იმიტომ გამიკვირდა, რომ ის მაინც პროფესიონალია. რა საქმე იყო, მარშზე რომ აკეთებს განცხადებებს. თურმე ჩვენი მარში არ ესაიამოვნა. ეგ ამბავი ჩერგოლეიშვილს, უგულავას, გირჩებს, თარგამაძეს, ლგბტ თემსაც არ ესაიამოვნებ. მავათ რიგებში თუ არის ეს კაცი, მაშინ დატოვოს თანამდებობა. ენას კბილს თუ არ დააჭერს, აუცილებლად მიიღებს პასუხს.

– საგარეო საქმეთა მინისტრს ემუქრებთ?

– შეგიძლიათ მუქარად ჩათვალოთ. ვაფრთხილებ ვაშაძისთვის, ენას კბილს თუ არ დააჭერს, მარშით ავალთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მის გადადგომას მოვითხოვთ.

ამოვიდა ყელში მარაზმატიკული მიდგომა. საქართველოში ანტიეროვნული „მოდინა“, ქართველობა და ეროვნულობა კი – „გრეხი“. ეს დამახინჯებული ფსიქიკა და აზროვნება აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

– რანაირად უნდა გამოვასწოროდ?

– სოროსს ამდენი თავისუფლება აღარ უნდა მიეცეს. ეს კაცი მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოაცხადა დიდ საფრთხედ. ახლანა მათ რიგებს შეუერთდა ისრაელი. ჩვენ კი რა გვჭირს, ლამისაა, ამ კაცის მონებად ვიქცეთ. დეპუტატების და მინისტრების დიდი ნაწილი სოროსთან არის დაკავშირებული.

უცხოეთიდან პარტიების და არასამთავრობოების დაფინანსება ევროპის ბევრ ქვეყანაშია აკრძალული. ეს აკრძალვა საქართველოშიც უნდა დანერგეს. უნდა შევიგნოთ, რომ სხვა ქვეყნიდან შემოსული ფულით დაფინანსებული ძალა ეროვნულ საქმეში არ გააკეთებს.

– ამბობენ, რომ თქვენი მარში რუსული ფულით დაფინანსდა.

– ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ რა გვეტყობა ჩვენ პრორუსულობის? სად მოისმინეთ ჩვენგან, რომ მოსკოვს ვაქებდით. ასეთი რამე არ მოხდარა. რაც შეეხება დაფინანსებას, ემიგრანტებმა გამოგვიგზავნეს რაღაც თანხები. ჩათვალეთ, რომ ეს მარში დაფინანსებული არ ყოფილა.

ფული რომ გვექონოდა, თქვენი აზრით, აქეთიქით ვივლიდით გეგმების დასაწყობად? ერთ ოფისს ხომ მაინც დავიქირავებდით. გინდ დავიჯერეთ, გინდა არა, ოფისი არა გვაქვს. ხან ჩემს სახლში ვაწყობთ გეგმებს, ხან სანდრო ბრეგაძესთან, ხან კიდევ კორკოტაშვილთან.

– თქვენს მარშს რატომაც ირაკლი ლარიბაშვილის სახელს უკავშირებენ. აქვს რაიმე საერთო მას თქვენს მოძრაობასთან?

– ჩემს ორ შვილს გვეიცხებიან, რომ ირაკლი ლარიბაშვილი ჩვენს მოძრაობასთან არაფერ შუაშია.

– აბა რატომ ფიქსირებთ მისი გვარი?

– ხელისუფლებაში დღემდე ბევრს ეშინია ირაკლი ლარიბაშვილის. ვრცელდება ინფორმა-



## სანდრო ბრეგაძე: „ქართული მარში არანაირი კონტრაქციის მოწოდებას არ აპირებს“

ციები, რომ ის შეიძლება დაბრუნდეს. ამიტომ მასზე რაღაცებს იგონებენ. კიდევ გაუხეხებთ, მას ჩვენს მოძრაობასთან კავშირი არა აქვს. ამასთან, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ „ოცნების“ მთავრობაში ის იყო იშვიათი გამონაკლისი, ვინც ქართულად აზროვნებდა.

როცა ის პრემიერი იყო, ნაცები რადარებიდან მართლა გაქრნენ, მისი გადადგომის შემდეგ სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებმა აიშვეს და აგერ უკვე მარშს გვიანობენ. „ოცნების“ მთავრობისთვის, ეტყობა, ნაცებთან ჩახუტება უფრო მთავარია, ვიდრე სამშობლო და ხალხის ინტერესები.

23 ივლისის კონტრაქციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ქართული მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **სანდრო ბრეგაძემაც**, რომელმაც საზოგადოების დაბნეულობა გამოიწვია.

– ქართული მარში არანაირი კონტრაქციის მონაწილეს არ აპირებს. ბოკერიას წინააღმდეგ სოსო რობაქიძე, ყოფილი პოლიტპატიმრები და ნაციონალურის მიერ დაზარალებულები აპირებენ აქციის მონაწილას, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ბრეგაძემ.

მისივე თქმით, კონტრაქციაში ქართული მარშის წევრებიც იქნებიან.

– ქართული მარშის მონაწილეთა შორის ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც ნაციონალურის დროს დაზარადა. ისინი იქნებიან იმ აქციაზე, მაგრამ ინდივიდუალურად. მათ ამის გამო ვერაფერს ვაპირებთ, იმდენი რამე გადაიტანეს, სრული უფლება აქვთ, ნაცებს აქციის მონაწილეთა შორის იყოს, თუ როგორ აწყობენ ჯალათები მარშს.

ის არც შეხლა-შემოხლას გამოირიცხავს. მისი თქმით, დაზარალებული და ნანამეტი ადამიანებისთვის მწელი ასატანი იქნება იმის ყურება, თუ როგორ აწყობენ ჯალათები მარშს.



ლადო სადლობელაშვილი: „აღმაშენებელზე ცოცხალი ჯაჭვის გაკეთებას ვერაფერს აგვიკრძალავს“

აგლო. მათ კარგად დაინახეს, რომ ეროვნული სულისკვეთების გამოღვივების შემთხვევაში, ქვეყანაში მოლაღატების პარპაში დამთავრდება.

გარდა იმისა, რომ ბათუმში ვგეგმავთ კიდევ ერთ ქართული მარშის მონაწილას, საოკუპაციო ხაზთან მისვლას და რუსული ოკუპაციის დაგმობას ვაპირებთ. 12 აგვისტოს კი დიდგორობას გრანდიოზულად აღვნიშნავთ.

სოროსელები ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგი არიან და ამიტომაც გადაწყვიტეს, კონტროლები მიიღონ. ისინი ყველაზე მეტად იმან გამანარა, რომ ჩვენ უცხო ქვეყნების მიერ არასამთავრობების დაფინანსების აკრძალვა მოვითხოვთ.

ბოკერიამ და მისმა ბანდამ ეროვნული სულისკვეთების ჩასაქრობად ჯერ ვითომ ქალების მარში მოაწყო. არადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ბაია პატარაიამ, თავად განაცხადა, ქალების მარში ტრანსგენდერები და გეებიც მონაწილეობენო.

შემირცხვენია ყველა ის ქართველი, ვინც ახლომხლო იყო და ამითი მარში უნამაური სიტყვებით მაინც არ შეაპო.

– რატომ უნდა შეეძლოს უნამაური სიტყვებით? ამ მარშის მონაწილეებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და კონსტიტუციით მათაც აქვთ აქციის თუ მარშის მონაწილეს უფლება.

– საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ესენი რასაც აკეთებენ, აზრის გამოხატვა არაა. ეს არის საზოგადოების გაღიზიანება. ნუ გააღიზიანებენ საზოგადოებას და არაფერს არ აკინებთ მათ.

– რითი აღიზიანებენ საზოგადოებას?

– იმ მარშზე იყო ერთი საგარეოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელი. მას ხელში ეკავა აღმაშენებლის დროინდელი დროშის სურათი და ჯვარზე ეწერა არა ფაშისხმ. ამით ამ ადამიანმა ჯვარი შებღინა და რატომ გვიკვირს, რომ ხალხი მათ აგინებს? მე ის მიკვირს, კიდევ უფრო ბევრმა რომ არ აგინა.

ჩვენ ამ მსვლელობას ხელი არ შევუშალეთ, მაგრამ გიგა ბოკერიას აღმაშენებელზე არ გავაჩაჭანებთ. ხრუშჩოვის იდეების გამტარებელი თავისუფლად არ უნდა დადიოდეს.

– ვინაა ხრუშჩოვის იდეების გამტარებელი?

**ახალი თბილისი**

დამფუძნებლები: ნინო ბაჭრაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

განთი  
გამოცემის  
1993 წლის  
23 ივლისიდან

კონსულტანტები  
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი  
საინფორმაციო სამსახური – ჯორა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55  
გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი  
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდება – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქავიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.  
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი [www.atb.ge](http://www.atb.ge) E-mail: [axtaoba@mail.ru](mailto:axtaoba@mail.ru)

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგენერირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსდება მასალები, სურათები და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# „მარგველაშვილს ვეზოები სერიოზული პროცესების სათავესთან მიიყვანს“

რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი პოლიტიკაში ყოფნით დისკომფორტს განიცდიდა და ეს ტვირთი ჩამოიშორა“

## ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

– ბატონო რამაზ, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თვითმმართველი ქალაქების გაუქმების კანონპროექტს ვეტო დაადო. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ თუ საჭიროდ ჩათვლიან, ვეტოს დაძლევენ, მაგრამ პრეზიდენტის მხრიდან, უბრალოდ, სირცხვილია ამდენი ვეტოები. რას იტყვიან თქვენ?

– პრეზიდენტის ვეტო თუ ვეტოს პრეზიდენტი? საერთოდ რომელ მხარესაც არ უნდა გხებოდეს ეს ამბავი, მისი ქმედება არ უნდა განდევნოს მომავალზე. მით უმეტეს, პოლიტიკაში პროგნოზირებადობა ცუდი რამ არის. როდესაც პრეზიდენტს ჯერ არაფერი უთქვამს და შენ იცი, რომ ის ვეტოს დაადებს და, რა თქმა უნდა, მერე ის ვეტოს ადევს... ანუ ის პროგნოზირებად ფიგურად ჩამოყალიბდა.

– ეს რამდენად კარგი ინიციატივა?

– აბა რა გითხრათ, მე მგონი, ეს ცოტა ნამდვირი პოზიციაა. ცხოვრება გვიჩვენებს, გაანჩნია, რას ჩავთვლით წაგებად და რას მოგებად. გაანჩნია, თვითონ როგორ ესახება თავისი პოლიტიკური მომავალი. საქმისთვის მისი ნაბიჯი, ანუ ვეტოს დადება, მხოლოდ საკუთარი იმიჯისთვის გადადგმული ნაბიჯი გამოდის. საქმისთვის მის ვეტოს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მობილიზაციას გააკეთებენ და დაიძლევა. რეალურად ეს ვეტოები განსახილველია პრეზიდენტის პოლიტიკური იმიჯის ქრილია. ამისთვის კეთდება.

– მერე აღწევს ამ მიზანს?

– სწორედ ეს არის საკითხავი. შეიძლება აღწევს, რადგან ფაქტობრივად ვეტო არის განაცხადი იმაზე, რომ არ ვეთანხმები და ის ისედაც არ ეთანხმება მმართველ პარტიას. განცხადებები სულ რომ არ გააკეთოს არანაირი, მხოლოდ ვეტოს ჩამონათვალით შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ის მმართველი პარტიის ხაზს არ ეთანხმება. თუმცა არ არის პრობლემა, პრეზიდენტი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე, არ დაეთანხმოს მმართველი პარტიის პოზიციას. მაგრამ საკითხი კიდევ სხვაგვარად ისმის.

– როგორ?

– ადამიანი გრძობს, როგორც საზოგადოების განწყობილება და თუ საზოგადოების განწყობილება კრიტიკულია კონკრეტული საკითხის მიმართ, მაშინ თვითონაც ხდება კრიტიკული. ამის ნათელი მაგალითი იყო რეფორმატორები შევარდნაძის დროს. ისინი ჯერ იყვნენ შევარდნაძის ერთგულები, იცავდნენ კბილებით და ასე შემდეგ. განსაკუთრებით კი სააკაშვილი, მაგრამ როცა ნახეს, რომ ხალხი კრიტიკულად არის განწყობილი შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ, სანამ ხალხი გააცნობიერებდა თავის პოზიციას, მანამდე თვითონ გადავიდნენ ოპოზიციაში და ჩაუდგნენ ამ ხალხის უკმაყოფილებას სათავეში, რისი ფინალიც იყო ვარდების რევოლუცია.

– ამ პარალელს რატომ ავლებთ?

– იმიტომ, რომ შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ მმართველი პარტიის პოლიტიკის მიმართ კრიტიკულობამ პრეზიდენტი მიიყვანოს სერიოზული პოლიტიკური პროცესების სათავესთან, თუკი საზოგადოებრივი მმართველი პარტიის უკმაყოფილების მუხტი დაგროვდა იმ ხარისხით, რომ ამ უკმაყოფილებამ დაიწყო ლიდერის ძებნა.

– სერიოზული პოლიტიკური გეგმები აქვს მარგველაშვილს?

– მიჭირს გეგმებზე საუბარი, მით უმეტეს, ისეთ ფიგურაზე, რომელიც პოლიტიკურ გეგმებზე ასე მარტივად არ საუბრობს. თუმცა ის, რომ მარგველაშვილს პოლიტიკაში ყოფნა მოსწონს, ფაქტია. ენერჯიულად გრძობს თავს ამ სფეროში, არ ეზარება პოლიტიკაში ყოფნა, განსხვავებით ივანიშვილისგან. მას ექნება პოლიტიკაში ყოფნის გაგრძელების სურვილი, ხოლო ეს რეიტინგი მას შეიძლება გამოადგეს როგორც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, ისე ნებისმიერ სხვა ფორმით პოლიტიკაში ყოფნის შემთხვევაში. ასე რომ, ამ ვეტოს თავისი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა არა იმდენად დაკავშირებული კონკრეტულ მოვლენებთან, რაზედაც ვეტოა დადებული, რამდენადაც ზოგად პოლიტიკურ პერსპექტივებთან.

– აქტუალურ საკითხად რჩება საკონსტიტუციო ცვლილებები, პროცესი ისევ ჩიხშია შესული. იყო მოლოდინი ხელისუფლების მხრიდან, რომ ოპოზიციას დათმობაზე წავიდოდა. ამ მოლოდინმა თავად ოპოზიციაც დააპირისპირა ერთმანეთს, რადგან ისინი ვერ თანხმდებოდნენ, რა უნდა დაეთმო ხელისუფლებას. უმრავლესობის ბოლო განცხადებებმა, რომ რეალურად არაფერს დათმობენ, ოპოზიციას კვლავ გააერთიანა. ასეთი მიდგომა რამდენად დაზარალებს ხელისუფლებას?

– ორივე მხარე ცდილობს, მონინალმდევე ჩააგდოს ისეთ სიტუაციაში, რომ მერე ვენეციის კომისიასთან ეთქმოდეს, კომპრომისებზე უარი



მონინალმდევე მხარე თქვაო. ანუ ხელისუფლებაც ეცდება, რომ არაკომპრომისულობა დაბრალდეს ოპოზიციას და ოპოზიციაც იგივეს ეცდება. ოპოზიციას უნდა აწყობდეს ის, რომ მან თქვას თავის კომპრომისის პირობები, ანუ რაზე მიდის დათმობაზე. ჯერჯერობით ოპოზიციას არაფერზე იმავე პოზიციას, რაც ადრე ჰქონდა. ეს ადვილად შექმნის იმ შთაბეჭდილებას, რომ უკომპრომისობის მაგალითს სწორედ ოპოზიციას იძლევა. ეს ოპოზიციისთვის ნამდვირად იქნება შემდეგ ვენეციის კომისიასთან ურთიერთობაში.

– დღეს ოპოზიციას მოუწოდებენ პრემიერ კვირიკაშვილს, რომ ჩაერთოს ამ პროცესებში. გამოიჩინოს ინიციატივა კვირიკაშვილი საკონსტიტუციო საკითხებისადმი?

– მან ამ თემაზე შეფასებები გააკეთა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ საჭიერია გაპიროვნებულია, კერძოდ, ეს თემა კობახიძის თემაა და ალბათ კობახიძე იქნება ამ საკითხებში აქტიურად ჩართული.

– ოპოზიციას მიიჩნევენ, რომ კობახიძე ზედმეტად ხისტია და არაკომპეტენტური ამ საკითხში. თქვენ რას ფიქრობთ?

– ხისტად შეიძლება ჩაითვალოს და ეს მისი ახალგაზრდობიდან გამოდინარეობს. მას ხშირად აქვს ისეთი გამოჩნაქვამები, რომელთა კორექტულობაც სადავოა, რაც საბაბს აძლევს მეორე მხარეს, რომ უკვე ამ გამოჩნაქვამების გამო გააკრიტიკოს.

## სოსო ოხანაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამბობს

### შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმეზე პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის დავითხვა ვერ ხერხდება. გერმანიაში წასული ოხანაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამბობს, გავრცელებული ვერსიით, დაბრუნების შემთხვევაში ის შეიძლება დააკაონ.

### მეუფე პეტრე: „მამა გიორგი უსამართლო პატიმარია“

ბევრი ინფორმაციის მიწოდება შეუძლია და ამდენად, მისი ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანია.

ციანიდის საქმეზე დაკავებული დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატების განცხადებით, პროკურატურა ყველაფერს აკეთებს, რომ პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსმა სასამართლოს ჩვენება არ მისცეს. პროკურატურის მტკიცებით კი,

ოხანაშვილი საქართველოში არც ჩამოსვლას და არც ჩვენების მიცემას არ აპირებს.

– დაცვის მხარე განმარტა, რომ ისინი მოახერხებენ სოსო ოხანაშვილის ჩამოყვანას საქართველოში და სასამართლოს წინაშე წარდგენას. ოჯახის წევრებმა განცხადებულს, რომ ის ნამდვილად იმყოფება გერმანიაში, არ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას,

სხვის საკითხი. შემიძლია პირდაპირ გითხრა, რომ ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ის მზად არის ჩაერთოს საკითხით და მისცეს სრული ინფორმაცია საქმეზე. შემდეგ მოსამართლე შეფასებს, ეს ინფორმაცია რამდენად და რომელი მხარის პოზიციისთვის უფრო დამადასტურებელია. მისი დავითხვა ლოგიკურად რამდენიმე პროცესში მოხდება. – განაცხადა ადვოკატმა. სოსო ოხანაშვილს პროკურატურა გარბელება მე-5 გვერდზე

## ქუმსიშვილი რუსთავე 2-ს ფულს სთხოვს

### შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვიანი შესვენების შემდეგ, რუსთავე 2 ისევ ხელისუფლების სამიზნე გახდა. 21 ივლისს პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომელიც ფინანსთა მინისტრია, ტელეკომპანიას ვალები გაასხენა და მათი გადახდისკენ მოუწოდა. ქუმსიშვილი იმდენს გამოთქვამს, რომ რუსთავე 2 გადასახადების გადახდის გონივრულ გრაფიკს შეიმუშავებს.

### ნიკა გვარამია: „სახელმწიფო ფინანსური დარტყმისთვის ემზადება“

გადასახადის გადახდის, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა. მის განცხადებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა რუსთავე 2-ში. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია უჭირბოვებს, რომ ხელისუფლება ფინანსური შეტევისთვის ემზადება. – ფინანსთა მინისტრის განცხადება, რომელიც ეხებოდა რუსთავე 2-ის არსებულ დავალიანებას, მიანიშნებს იმაზე, რომ იგეგმება რუსთავე 2-ის საოპერაციო ანგარიშების დაყვანება, რის შემდეგაც ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს „გაიწოვს“ სახელმწიფო და ტელეკომპანია ფიზიკურად ვეღარ შეძლებს არსებობას. საოპერაციო ანგარიშების დაყვანება, ეს ნიშნავს ტელეკომპანიის დახურვას... სახელმწიფო ემზადება ფინანსური დარტყმისთვის, რაც გამოიწვევს რუსთავე 2-ის ეთერის ჩაქრობას, – აცხადებს ნიკა გვარამია. მან ქუმსიშვილი კანონის დარღვევაშიც დაადანაშაულა. მისი თქმით, კანონი რუსთავე 2-ის ფინანსური ვალდებულებების გასაჯაროებით დაირღვა.

– ძალიან უხეშად იქნა დარღვეული საქართველოს კანონმდებლობა მინისტრის მიერ, მან გათქვა ის ინფორმაცია, რომლის დაცვა პირველ რიგში მას ევალება, ეს არის კონფიდენციალური ინფორმაცია, ეს არის კანონის მიმე დარღვევა და ეს არის ძალიან ცუდი სიგნალი არა მხოლოდ შიდა სამედიაციო წრეებისთვის, არამედ ბიზნესისთვის. ეს არის კონკურენტების სასარგებლოდ თამაში, რაც მინისტრმა გააკეთა, – აღნიშნა გვარამიამ. მისივე თქმით, შემთხვევითი არაა, რომ ეს განცხადება ქუმსიშვილმა „იმედის“ ეთერში გააკეთა. – მათ ჰქონდათ კომუნიკაცია ჩვენთან, ცდილობდნენ სიუჟეტის გაკეთებას. სახელმწიფოსა და „იმედის“ ერთობლივი მოქმედებები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. რუსთავე 2 უკვე 2 წელია იმყოფება უმძიმესი ფინანსური წინევის ქვეშ, – განაცხადა რუსთავე 2-ის გენდირექტორმა. მის განცხადებას მალევე გამოეხმაურა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. უწყება გვარამიას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

საშემოსავლოს განცხადებით, ქუმსიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება საგადასახადო საიდუმლოებას არ განეკუთვნება. – ტელეკომპანია რუსთავე 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიერ 21 ივლისს ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების საპასუხო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აცხადებს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად: საგადასახადო საიდუმლოებას არ განეკუთვნება და საჯაროა გადასახადის გადახდის საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია. ამდენად, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრის მიერ გაკეთებული კომენტარი იმის შესახებ, რომ კომპანიას აქვს საგადასახადო დავალიანება, არ წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოს და ამდენად, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეფასება არის სრული სიწრმე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, – აღნიშნულა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.





# „პროკურატურამ დააღვინა, რომ ბექა პეტრიაშვილი სიხეში უშიშროებდა იჯდა“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მოვითხოვთ ამ საქმეში დამნაშავე ყველა პირის დასჯას“

გულიკო ბალაძე

ცნობილი გამონათქვამი, არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა, დღესაც აქტუალურია. პარლამენტის ყოფილი წევრი, „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა და პროკურატურის სისტემაში ჯერ კიდევ მუშაობენ ის პირები, რომლებმაც წინა რეჟიმის დროს დანაშაული ჩაიდინეს. ზოგი მათგანი დანაშაულზე უარს ამბობს, ამიტომ აუცილებელია, იდენტიფიცირებული იქნენ ისინი და დაისაჯონ.

– მთავარი პროკურატურის მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენმა დეპარტამენტმა ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა წევრის მიმართ გამოიტანა დადგენილება და დაზარალებულად იქნა ცნობილი ბექა პეტრიაშვილი იმავე სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა არარსებულ დანაშაულზე. სახალხო კრების ერთ-ერთ აქტიურ წევრს, 19 წლის ახალგაზრდას, შეუთითხნა საქმე ხულიგნობის მუხლით და 6 წლით პასუხისმგებლობა მიესვა. ამ საქმესთან დაკავშირებით მივიღეთ დადგენილება პროკურატურისაგან. დადგენილების საფუძველზე ჩვენ ველოდებოდით სისხლის სამართლის განხილვას, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, – განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

– **ბატონო დიმიტრი მოლოდინი გაქვთ, რომ რეალურად, პროკურატურის აღნიშნულ დადგენილებას სამართლებრივი გაგრძელება მოჰყვება?**

– გამომდინარე დადგენილებიდან, ველოდებოდა ბექა პეტრიაშვილის სრულად გამართლებას იმ დანაშაულში, რომლისთვისაც ის ციხეში სრულიად უკანონოდ და დაუსაბუთებლად იჯდა. ის იყო უკანონოდ დაკავებული და დაპატიმრებული პირი.

– **რას მოითხოვთ?**

– ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, ყველა ის ადამიანი, რომელიც მონაწილეობდა ბატონ ბექა პეტრიაშვილის განხილვაში უკანონოდ დაკავება-დაპატიმრება-პასუხისმგებლობაში, უნდა იქნას იდენტიფიცირებული.

– **ვინ არიან ისინი?**

– მათი სახელები და გვარები ცნობილია. ზოგიერთი მათგანი დანაშაულზე უარს ამბობს. ბექა პეტრიაშვილი იმ გამოძიების, პროკურატურისა და მოსამართლის მსხვერპლი იქნა ცნობილი, ვინც საქმე შეუთითხნა. სასამართლოში სახელმწიფოს სახელით გამოდიოდა მოსამართლე, რომელმაც მიუსაჯა. ადამიანს ბრალად შევარაგა



მძიმე კატეგორიის დანაშაული, დღეს კი აღმოჩნდა, რომ ის არის სრულიად უდანაშაულო.

– **ბექა პეტრიაშვილს პოლიტპატიმრის სტატუსი აქვს?**

– ბექა პეტრიაშვილს პოლიტპატიმრის სტატუსი 2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მიენიჭა. ჩვენ ვაპირებთ, ამ საკითხს ბოლომდე ჩავყვეთ. გამომძიებელი, საქმის ზედამხედველი პროკურორი და მოსამართლე, რომელმაც დაადგინა განაჩენი საქართველოს სახელით იმ დანაშაულისთვის, რომელიც ბექა პეტრიაშვილს არ ჩაუდენია. ჩვენ ამ პირების დასჯას ვითხოვთ.

გარდა ამისა, მოვითხოვთ, ასეთი გადანაცვლება იქნას მიღებული იმ 45 პოლიტიკური პატიმრის მიმართ, რომელიც „დემოკრატიული მოძრაობის“ ჰყავდა. კარგია, რომ ეს პრეცედენტი შეიქმნა.

– **ქართული ოცნების** პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შეეხსენებ, რომ თუ გააჩნიათ პრეტენზია დასავლურ დემოკრატიაზე, დასავლური დემოკრატია სწორედ ასეთ შემთხვევებში სრულიყოფილად გამოიხატება იცნობს. შესაბამისად, ჩვენ მოვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას არა მხოლოდ ბექა პეტრიაშვილის, არამედ „დემოკრატიული მოძრაობის“ 45 პოლიტიკური პატიმრის მიმართაც. ორი პოლიტპატიმარი გარდაიცვალა.

– **ციხეში გარდაიცვალა?**

– არა, ორი ახალგაზრდა პოლიტპატიმარი უკვე თავისუფლებაზე ყოფნის დროს გარდაიცვალა.

– **დადგენილებაში თუ არის რაიმე ნათქვამი იმ პირების შესახებ, რომლებსაც თქვენ ადანაშაულებთ?**

– **შეულებთ? გამოძიებელზე, პროკურორზე მოსამართლეზე და იმ პირებზე, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ პიროვნების მიმართ ჩადენილ დანაშაულში.**

– არა. დადგენილებაში საუბარია იმაზე, რომ საქმისწარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ ბატონი ბექა პეტრიაშვილი უდანაშაულოა და ამ საქმეზე, რომელშიც მსჯავრდებული იყო, ის არის დაზარალებულად ცნობილი.

– **ანუ დამზარალებლებზე დადგენილებაში საუბარი არ არის?**

– დიახ, დამზარალებლები მოხსენიებული არ არიან და ჩვენთვის არც ის არის ცნობილი, რას აპირებს პროკურატურა იმ პირების მიმართ, ვინც ჩაიდინა დანაშაული. როდესაც თუა ნულუკიანმა გამოაცხადა მართლმსაჯულების რეფორმის პირველი, მეორე და მესამე ტალღა, ამ ტალღებში, სამწუხაროდ, თავისუფლად ტივტივებდნენ ის მოსამართლეები, რომლებსაც საქართველოს სახელით გამამტყუნებელი განაჩენები ჰქონდათ გამოტანილი პოლიტიკური ნიშნით. იგივე ბატონ ირაკლი ბათიაშვილის მოსამართლე, ქალბატონი მაია თეთრაული, რომელიც დღეს სააპელაციო სასამართლოშია; ბატონ შალვა ოგაბაძის საქმეზე გადანაცვლებების მიმდებარე მოსამართლე, ბატონი მურუსიძე, რომელიც, მოგეხსენებათ, დანიშნაურებულია.

ძალიან ბევრი მოსამართლე, რომლებმაც საქართველოს სახელით დაადგინეს პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენები, იმის მაგივრად, რომ პასუხისმგებლობა იქნენ მიტოვებული, დღეს შრომით საქმიანობას აგრძელებენ მაღალი სტატუსის მანტიის ქვეშ და კვლავ ემსახურებიან დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს, რითაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ საზოგადოებასა და საჯარო ინტერესს. ამიტომ მივიჩნევთ, რომ პროკურატურა იმ შემთხვევაში იქნება ნამდვილად სამაგალითო, თუკი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიყვანს და საზოგადოებას დაარწმუნებს, რომ ეს რეაბილიტაცია არ არის სანახევროდ, თვალის ასახვევად გაკეთებული და რომ პირის გამართლებას აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს ამ პირის მატერიალური, მორალური და ფიზიკური ზიანი განცდილის კომპენსაცია. აუცილებლად უნდა მოხდეს დამნაშავე გამოძიებლების, დამნაშავე პროკურორების, დამნაშავე მოსამართლეების გასამართლება. ძალიან ბევრი იმდროინდელი გამომძიებელი დანიშნაურებულია პროკურორის რანგში. ძალიან ბევრი მათგანი უფრო მაღალ თანამდებობაზეა. მათ აქვთ ხელშეუხებლობის გარანტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდიდან.

– **დამნაშავე გამოძიებლები და პროკურორები რომ დააპატიმრონ, ნახევარი შს და პროკურატურა ციხეში არ აღმოჩნდება?**

– აბა, როგორ გინდა სამართლიანობის აღდგენა? არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა. ჩვენ გავაგრძელებთ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას. მოვითხოვთ პარლამენტის მიერ აღიარებული ორი ასეული პოლიტპატიმრის მიმართ პროკურატურის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე სასამართლო სამართალწარმოებას და იმ პირების დასჯას, ვინც ორი ასეული პირის მიმართ უკანონო განაჩენები გამოიტანა.

როგორც პროკურატურის ახალი გამოძიებით იკვეთება, 2011 წელს ბექა პეტრიაშვილს პოლიციის თანამშრომლებმა პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოშორების მიზნით, ხულიგნობის ინსცენირება მოუწვევეს და უკანონოდ დააკავეს.

ბექა პეტრიაშვილი 2011 წლის ივლისში, შს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა წერეთლის გამზირზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, თითქოსდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის განხორციელების მიზეზით, დააკავეს და მის მიმართაც საქმეზე შეაგროვეს ყალბი და გამოგონილი მტკიცებულებები.

მთავარ პროკურატურაში განახლებული გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ე.წ. მოწმე დაკავების მომენტისთვის, საერთოდ, არ იმყოფებოდა დაკავების ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქმეზე ასევე შეაგროვეს ბექა პეტრიაშვილის უდანაშაულობის დამამტკიცებელი სხვა მტკიცებულებებიც.

ბექა პეტრიაშვილს იმედი აქვს, რომ სასამართლო მიიღებს ობიექტურ დადგენილებას იმ უამრავი მტკიცებულების საფუძველზე, რომლებიც გამოძიებისას პროკურატურამ მოიპოვა, ყველა იმ ადამიანს მოსთხოვს პასუხს, ვინც ჩაიდინა დანაშაული.

„მთავარია, დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც განახორციელეს უკანონო ქმედება და მხოლოდ პოლიტიკური მოტივით მოახდინეს ჩემი დაკავება. ვიდრე შს-ში იმუშავებენ ის ადამიანები, რომლებიც მიზანმიმართულად ჩადიდნენ დანაშაულს, აყალბებდნენ მტკიცებულებებს, დაკითხვაზე მოჰყავდათ ცრუ მოწმეები და აგენტები, ვიდრე ეს ადამიანები არ დასახლებდნენ იმ კონკრეტულ პირებს, რომლებიც გასცემდნენ დაკავებების ბრძანებას, არ განიშინებდა შს სამინისტრო იმ ადამიანებისგან, რომლებიც სამართლდამცველთა ფორმაში გამოწყობილი დანაშაულს დანაშაულზე ჩადიდნენ, მანამდე სამართლიანობის აღდგენაზე საუბარიც ზედმეტია“, – აცხადებს ბექა პეტრიაშვილი.

# „დიმა ომოლჩენკოს ნატყვიარაბი მთელ სხეულზე ამჩნავია... მოწვეა მოიშორას“

## გურიაში მომხდარი სასტიკი მკვლელობის ახალი დეტალები

ოზურგეთში, 20 ივლისს მომხდარი შემზარავი მკვლელობის მოტივი და სასტიკი დანაშაული ბრალდებული ვინაობა უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ ორი ახალგაზრდა: გურამ ფოცხიშვილი და მისი დის ქმარი დიმა ომოლჩენკო ავტომობილში ჩაცხრილეს.

„ნიუპოსტმა“ ოზურგეთში, შემოქმედის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ დამატებითი დეტალების გარკვევა შეეძლო.

მოკლულთა ოჯახის წევრები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ახალგაზრდები შურისძიებას ემსხვერპლნენ. მათი მონაყოლის მიხედვით, ბიჭების ჩაცხრილვა წლების წინ მომხდარი კრიმინალური შემთხვევის გაგრძელებაა. როგორც ირკვევა, დიმა ომოლჩენკო შემთხვევის ადგილზე შემთხვევით მოხვდა, რის შემდეგაც სასტიკი მკვლელობის ავტორებმა მთავარი მოწმე მოიშორეს.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, გურამ ფოცხიშვილმა სახლიდან გასვლისას ოჯახის წევრებს უთხრა, რომ ის და დიმა სათვებოდად მიდიოდნენ, მანქანაში შესაბამისი აღჭურვილობაც ჩაალაგეს. ოზურგეთში ყვებიან, რომ მდინარისკენ მიმავალი ავტომობილი, მოულოდნელად, მაღალი სისწრაფით, შემოქმედის ქუჩის მიმართულებით გაბრუნდა. როგორც ჩანს, ბრალდებულებმა ფოცხიშვილი გარჩევაზე დაიბარეს, დიმა ომოლჩენკო კი ნათესავს ამ

შეხვედრაზე გაჰყვა.

– დიმა უნესიერესი ახალგაზრდა იყო. მას ტრავიკული ცხოვრება აქვს გამოვლილი. 5 წლის იყო, როცა მშობლები დაეღუპა, მიუსაჯარი ბავშვი მუფე იოსებმა სამთავროში შეიფარა და შვილივით გაზარდა. ცოლის მოყვანის შემდეგ, ბიჭს ბინა მუფემ შეუძინა. პასუხისმგებლობით სავსე ბიჭი იყო, ამიტომ საბურთეთში წავიდა და ოჯახს მძიმე შრომის შედეგად მიღებული გასამრჯელოთი არჩენდა. რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა და გუშინ ჩაცხრილეს, ნატყვიარაბი მთელ სხეულზე ამჩნევია, – განუცხადა „ნიუპოსტს“ დიმა ომოლჩენკოს ახლობელმა.

დაიკვანი დავით გოგიტიძე, რომელიც დიმა ომოლჩენკოსთან ერთად ტამარში მსახურობდა (დიმა ომოლჩენკო სტიქოსისადმი და მეუფეს მძღოლი იყო), აცხადებს, რომ ახალგაზრდა მამაკაცს კრიმინალთან შეხებლობა არასდროს ჰქონია.

გოგიტიძის თქმით, დიმა ომოლჩენკო მკვლელობამდე ერთი საათით ადრე ნახა. – ძალიან მშვიდად და წყნარად იყო. ეს შემთხვევითობის მსხვერპლია, დიმა უკონფლიქტო ადამიანი იყო, – ამბობს დიაკვანი.

შემოქმედის ეპარქიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ბათუნა ცერცვაძე დიმა ომოლჩენკოს მეგობარია. ის მოკლულის მძიმე არსებობა დაეღუპა, მიუსაჯარი ბავშვებზე საუბრობს:

– მამა ვასილმა აღმოაჩინა პატარა თეთრი საყვარელი ბიჭი. თავისთან ზრდიდა... მერე მეუფემ ნახა და, ეტყობა, თვალში რომ ჩახადა, დაინახა ამხელა ტრავმები ელოდა და უნდოდა, მისი ფრთის ქვეშ ყოფილი დაეფარა... და გაიზარდა შემოქმედის ეპარქიაში, მეუფის ფრთის ქვეშ, ეკლესიის წიაღში... ერთგული და პატიოსანი კაცი დადგა... მშრომელი და სიყვითისმოყვარე... მეუფისგან სიტბო სიყვარული და შრომისმოყვარეობა კარგად შეისწავლა და ასე გვიწინააღმდეგა სიყვარულს ყველას. ჩვენი განაზრახვა... დედობას იღუმენიები და დედები უნებდა. ყველას შვილივით გულში გვყავდა ჩვენი დიმიკოო... ასე მოვდიოდით ერთად ბევრი წელი... ბედნიერი წუთები და ერთად ყოფნის სიამოვნება გვახსენებდა... და ყველა ასე უერთიანდებოდით მეუფის ირგვლივ. უფრო სწორად, მეუფე გვაერთიანებდა მის ირგვლივ... მერე, ცხოვრების გზაჯვარედინზე გავედით... დიმიკო დაქორწინდა

და ეს იყო ყველაზე ბედნიერი და ლამაზი დღე. ყველა დიმიკოს ირგვლივ ვიყავით და ვვინდოდა ყველაფერი საუბრეთსო მისთვის ყოფილიყო... მერე დიმიკომ ეს პასუხისმგებლობა კარგად გაისიგრძეა და ოჯახის სარჩენად საზღვარგარეთაც წავიდა. დღეებამდე მუშაობდა ორივე ცოლქმარი, რომ რაიმე შეექმნათ. მერე დაბრუნდნენ სამშობლოში, თავიანთი ბუდე მოსაწყვეს და აქაც გააგრძელეს შრომა... ასე პატიოსნად და დაუზარებლად გაჰქონდათ ცხოვრების ჭაბანი... დღეს კი ჩემი სანყალი ბიჭი ასე უმოწყალოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. დატოვა სიყვარული და პატარა ბიჭი, რომელიც მამის ასლია. ბიჭი, რომელიც უმამოდ უნდა გაიზარდოს. მართალია, ემასოვრება საყვარელი მამიკო, მაგრამ მანაც სხვებისგან მოუწვევს გაგონა, როგორი თბილი გული ჰქონდა მის უბედო მამას, როგორი ერთგული იყო. როგორი მშრომელი იყო და სულ პატარა ბიჭმა, რაც შეეძლო, ყველაფერი დაუტოვა მის შვილს. რაც მთავარია, პატიოსანი სული და სახელი დატოვა... მაგრამ, მანაც შემთხვევითობის მსხვერპლი გახდა... ასე დაუშვა უფალმა, ეტყობა, ლეთის დაკარგვისგან გადაარჩინა... მადლობა უფალს, ეს ალბათ ყველაზე კარგი პერიოდი იყო მისი ამ ქვეყნიდან წასასვლელად. ალბათ ახლა პირნათელი წარდგებოდა ღმერთს... აბა, ისე უფალი დიმიკოს არ განირავდა... – აღნიშნავს მოკლული ბიჭის მეგობარი.

რაც შეეხება გურამ ფოცხიშვილს, მას კრიმინალური წარსული აქვს. გურიაში დარწმუნებულები არიან, რომ სწორედ მისი მკვლელობა იყო დაგეგმილი.





# ზურაბ აბაშიძე: „ყაზახეთში საქართველო მოდარია“



ნათია ხურცილავა

ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი **ზურაბ აბაშიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყაზახეთ-საქართველოს ბიზნესურთიერთობებსა და საშინაო პოლიტიკაზე საუბრობს.

**– ბატონო ზურაბ, თქვენ დიპლომატიაში გადასვლით და პოლიტიკას ჩამოშორდით, მაგრამ საქართველოში აქტიური პოლიტიკოსი იყავით, ჯერ ოპოზიციაში, მერე ხელისუფლებაში, მერე ისევ ოპოზიციაში. დღეს როგორ აფასებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?**

– დიახ, მე დღეს ვარ დიპლომატიაში და პოლიტიკურ პროცესებს ჩამოვშორდი, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მნიშვნელოვან პროცესს გადის, ამას ვამბობ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ეს არ არის მარტივი პროცესი. მე როდესაც ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ვიყავი ჩართული, მთავარი პრობლემა კონსტიტუციის უკავშირდებოდა. წინა ხელისუფლების დროს მოგესხნებოდა, როგორი ცვლილებები განხორციელდა, ძალიან ბევრი ცვლილება შევიდა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა ოპოზიციასა და მას შინაგულ ხელისუფლებას შორის. საზოგადოება რეალურად გაყოფილი იყო.

რა თქმა უნდა, დღეს უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა. რამდენად არის ეს შესაძლებელი, ეს მეორე საკითხია. როგორც ჩანს, არ არის მარტივი საკითხი. მთავარ საკითხად კვლავ საარჩევნო სისტემა რჩება. საარჩევნო სისტემა იყო მნიშვნელოვანი მაშინაც, რო-

დესაც ოპოზიციაში ვიყავი. თუმცა, მთავარი მონაპოვარი მაინც არის ის შეთანხმება, რომელიც არსებობს, რომ 2024 წელს ქვეყანა სრულად გადავა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე.

მე, ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, დიპლომატიაში ვიქნები თუ პოლიტიკაში, არა აქვს მნიშვნელობა, ჩემი ინტერესი მაქვს, რომ ჩემი ქვეყანა იყოს დემოკრატიული, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული და ძლიერი სახელმწიფო. ეს არის მთავარი ამოცანა. ეს არის კონსტიტუციური რეფორმის მთავარი ამოცანაც. იდეალური არაფერია და ვერც გვექნება იმის ამბიცია, რომ ეს ცვლილებებიც, რომელთაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს, იდეალურია და ამის იქით, უკეთესი არ არსებობს. ეს შეფასებები იყო ვენეციის კომისიის დასკვნაშიც.

**– როგორი მოლოდინი გაქვთ, ალბათ რთული წარმოსადგენია შეთანხმების მიღწევა.**

– ვფიქრობ, ეს პროცესი თავის შედეგს მაინც გამოიღებს და ეს არ არის არამც და არამც რევერანსული დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ბოლომდე უნდა მივიდეს ეს საკითხი და მაქსიმალური კომპრომისი უნდა გამოინახოს იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები არ დაზიანდეს. მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესს საერთაშორისო ჩართულობა ძალიან სჭირდება. ჩვენი გასაკეთებელი ჩვენ უნდა გავაკეთოთ, მას სხვა ვერავინ გააკეთებს, მაგრამ ჩართულობა მაინც წაადგება პროცესს.

**– ბატონო ზურაბ, ამბასადორილის ფარ-**



გლებში რა მთავარი გზავნილები, დავალება მიიღეთ ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან?

– ოკუპაცია არის ყველაზე მტკივნეული პრობლემა საქართველოსთვის. კონკრეტული გადაწყვეტილება არის მიღებული აშშ-ის მიერ, ეს არ არის მხოლოდ პროტესტი მათი მხრიდან. კონკრეტული გადაწყვეტილება კი არის ის, რომ ამერიკა აღარ დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებიც აფხაზეთსა და ოსეთს აღიარებენ. ეს მარ-

თლაც არის გამარჯვება. ამ საკითხებზე და კიდევ არაერთ სხვა საკითხზე იყო მსჯელობა, აზრების გაცვლა-გამოცვლა. დაიგეგმა შემდგომი სამუშაოები.

**– საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობების თვალსაზრისით რას გვეტყვი? ყაზახური ბიზნესისთვის თუ არის საქართველო მიმზიდველი ქვეყანა?**

– საქართველოს ყაზახეთთან ძალიან დიდი ხნის მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობა აქვს. ყაზახეთი ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორია საქართველოში. ეს ინტერესი კი არ კლებულობს, პირიქით, იზრდება. ბოლო ათწლეულს თუ გადავხედავთ საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობაში, ეს ურთიერთობები ნამდვილად გამოიჩინა ეკონომიკური თვალსაზრისით. ძალიან მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა.

საქართველოსთვის ხუთი სახელმწიფო არის ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ამ ხუთეულში ყაზახეთიც შედის. ყაზახეთის ბაზარი ძალიან მსხვილი ბაზარია ქართული ნაწარმისთვის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი არის ტურიზმი. არ გადავჭარბებთ თუ გეტყვით, რომ ყაზახეთში საქართველო მოდარია. ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორების რიცხვი. ყაზახები ალგვიქვამენ, როგორც ევროპულ სახელმწიფოს. უფრო რეჟიმის ამოქმედება, ეს მიღწევა, ძალიან დიდი ალტაცების საგანი იყო ყაზახეთში. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო მართლაც გამოიჩინა სახელმწიფო ყაზახეთისთვის თავისი რეფორმებითა და განვითარების დინამიკის თვალსაზრისით.

## აგებს თუ არა საქართველო პასუხს აფხან მუხთარლის გამო?

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, 5 აზერბაიჯანელ აქტივისტს 51 ათასი ევროს კომპენსაციას გადაუხდინა



მარიამ მჭედლიშვილი

აფხან მუხთარლის საქმის გამოძიება საქართველოს პროკურატურამ ჩაიბარა, თუმცა, დაკავებული ჟურნალისტის ახლობლები არ არიან დარწმუნებული, რომ სამართალი იზეიმებს და აფხან მუხთარლი გამართლდება. ისინი მიიჩნევენ, რომ თანამდებობებიდან სასაზღვრო სამსახურისა და სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტების ხელმძღვანელების გათავისუფლება არ იქონიებს გავლენას გამოძიების შედეგზე.

თუ პროკურატურის ჩართვა გამოძიებაში არაფერს შეცვლის, თუ სიმართლე არ დადგინდება, ეს ძვირად დაუჯდება საქართველოს, რომლის დემოკრატიული იმიჯი მუხთარლის გამო უკვე შეირყა. საქმის ოპერატიულად გამოძიების კენს საქართველოს ევროპარლამენტამაც მოუწოდა.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმე სახელწოდებით „აფხან მუხთარლი აზერბაიჯანისა და საქართველოს წინააღმდეგ“ პრიორიტეტულად აღიარა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო.

ამავე სასამართლომ 20 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება მუხთარლის 5 თანამემამულისთვის კომპენსაციის გადახდის თაობაზე. მთლიანობაში, ეს კომპენსაცია 51 ათას ევროს აჭარბებს.

აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოუწევს თანხის გადახდა იმის გამო, რომ 5 აქტივისტს 2011-2013 წლებში ბაქოში საპროტესტო მშვიდობიანი აქციების გამო უსამართლოდ აკავებდა და აჯარიმებდა.



ევროსასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კომპენსაცია ეკუთვნის 7 აზერბაიჯანელ აქტივისტს მათი უფლებების შელახვის გამო. მათ კომპენსაციის სახით 65.300 ევროს მისცემენ.

აფხან მუხთარლი ბაქოს იზოლაციაშია. მის საქმეს იქ აზერბაიჯანის პროკურატურა იძიებს. აზერბაიჯანის პროკურატურის ვერსიით, 29 მაისს აფხან მუხთარლიმ დაარღვია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი და წინააღმდეგობა გაუწია მესაზღვრეს. მას თან ჰქონდა კონტრაბანდული ფული.

საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ევროსის მოგონილს უწოდებს და აცხადებს, რომ მუხთარლი თბილისის ცენტრიდან გაიქცა. მუხთარლის ინფორმაციით, მის გამტაცებლებს საქართვე-



ლოს კრიმინალური პოლიციის ფორმები ეცვათ. გამტაცებლებმა გატაცებული აზერბაიჯანულ მხარეს გადასცეს.

ამასობაში აზერბაიჯანში კიდევ ერთი სკანდალური სასამართლო პროცესი დამთავრდა. 20 ივლისს ბაქოს სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბლოგერ ალექსანდრ ლაპშინს, რომელსაც აზერბაიჯანის საზღვრის დარღვევას ედავებოდა. იგი იმყოფებოდა მთიან ყარაბაღში. დაცვა მის სრულ გამართლებას მოითხოვს.

ლაპშინის დასაცავად გამოდის ჟურნალისტი და დაცვის საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტმა მოუწოდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას, გაათავისუფლოს ბლოგერი, რომელიც ციხეში არ უნდა იჯდეს იმის გამო, რომ სადავო რეგიონში იმყოფებოდა.

აფხან მუხთარლი თავიდანვე პოლიტპატიმრად აღიარეს. ევროპარლამენტმა აზერბაიჯანს მისი გათავისუფლება მოსთხოვა.

## სოსო ოხანაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამბობს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტურისთვის ჩვენება უკვე მიცემული აქვს. საგამომიბუო უწყებამ ის ჯერ კიდევ მამა გიორგის დაკავების მეორე დღეს დაკითხა. ჩვენების მისაცემად ის გერმანიიდან ჩამოიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციით, იმ დღეს მისი დაკავებაც იგეგმებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გადაიფიქრეს. დაკითხვიდან ოხანაშვილი ისევ გერმანიაში გაფრინდა, სადაც პატრიარქი ოპერაციას იკეთებდა.

მოგვიანებით ადვოკატებმა განაცხადეს, რომ პროკურატურა მამა გიორგის მეუფე პეტრეს და ოხანაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდა, სანაცვლოდ კი საპროცესოს გაფორმებას სთავაზობდნენ.

ოხანაშვილმა საქართველო აპრილში დატოვა. მანამდე კი პატრიარქის დაცვის უფროსობიდან გადადგა. მართალია ოხანაშვილმა ჩვენება არ მისცა სასამართლოს, მაგრამ 21 ივლისს არანაკლებ საინტერესო მოწმე დაიკითხა. სასამართლოს ჩვენება ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრე ცაავამ მისცა.

მეუფე პეტრე ერთ-ერთი პირველი



იყო, ვინც დაკავებული მამა გიორგი მოინახულა. მამა გიორგის მსგავსად, პატრიარქის მდივან-რეფერენტთან მეუფესაც დაძაბული ურთიერთობა აქვს. თეთრუაშვილის შესახებ მან სასამართლოზეც ისაუბრა და ჟურნალისტებთანაც. მისი თქმით, შორენა თეთრუაშვილს შეუძლია ცილისწამებებით ადამიანის არსებობასაც კი შეუშალოს ხელი.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, შეეძლო თუ არა პატრიარქის მდივან-რეფერენტს დეკანოზ გიორგი მამალაძის კარიერული წინსვლისთვის ხელი შეეშალოს. – მას მხოლოდ შეუძლია ცილისწამ-

ებებით შეუშალოს ხელი ადამიანის არსებობასაც კი. მას შეუძლია მხოლოდ ცილისწამებებით, ინტრიგებით ხლართოს და ამით ადამიანი დაამძიმოს, – განაცხადა მეუფე პეტრემ.

სასამართლოდან გამოსულმა მიტროპოლიტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მამა გიორგი უსამართლო პატიმარია.

– ერთი საინტერესო ადამიანი, რომელსაც საპატიმროში ვნახულობდი და მოვიკითხავდი, ბიზნესმენი, რომელიც რაღაც ცრუ ბრალდებით იყო, ამბობდა, რომ, რა თქმა უნდა, მეუფე, არ ვარ მე უდანაშაულო, უცოდველი, როგორც თითოეული ჩვენთაგანი, მაგრამ ვარ უსამართლო პატიმარი.

აი, მამა გიორგიც მიმანჩია, არის უსამართლო პატიმარი და სრულიად უცოდველი და უდანაშაულო არავინ არ ვართ, მათ შორის, არ არის მამა გიორგი. მე ვერ წარმომიდგენია სასულიერო პირი, რომლის გონებაში დაიბადა აზრი ვიღაცის ლიკვიდაციის. ეს არის ყოველდღიური რეალობა, გამოირიცხული, აბსურდი. ბოლო სიტყვას ამბობს უფალი და ეს სიტყვა იქნება წარმოთქმული სამსჯავროს დროს, – აღნიშნა მეუფე პეტრემ.

## ბიზნესმენ გურამ გოგიჩაიშვილის მკვლელობისთვის რაზმ მოგრიჭიანს 15 წელი მიესაჯა

სასამართლომ ბიზნესმენ გურამ გოგიჩაიშვილის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს, რეზო გოგიჩაიანს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა-ტარებისთვის, წარბადაცხადდა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება) წარედგინა. გორის რაიონულმა სასამართლომ რეზო გოგიჩაიანს დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბის მიზნით „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა, რამდენჯერმე ესროლა გურამ გოგიჩაიშვილს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობების შედეგად გურამ გოგიჩაიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა რეზო გოგიჩაიანს 2017 წლის 9 ივნისს ქ.ბათუმში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება) წარედგინა. გორის რაიონულმა სასამართლომ რეზო გოგიჩაიანს დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადსტურდა, რომ 2017 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 12:30 საათზე, ქ.გორში, წარსულში განზრახ დანაშაულებისთვის ნასამართლევმა რეზო გოგიჩაიანმა შურისძიებ-



# საყდრისის კომიზაზი მოითხოვს, ბოლნისელს აპიდავიური კვლევა ჩაუტარდეთ

საყდრისის კომიტეტის წარმომადგენელმა ნინო ბურჭულაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე ბოლნისის მოსახლეობის ეპიდემიური კვლევის ორგანიზება მოითხოვა.


მისი განცხადებით, კომპანია „არემვი გოლდის“ მიერ ბოლნისის რაიონში გარემო მნიშვნელოვნად არის დაბინძურებული და აუცილებელია დადგინდეს, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა გარემოს დაბინძურებამ ადამიანების ჯანმრთელობაზე.

– აუცილებლად უნდა ჩატარდეს მოსახლეობის ეპიდემიური კვლევა, ასევე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტის კვლევა, რათა დადგინდეს, აისახა თუ არა გარემოს დაბინძურება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. „არემვი გოლდი“ კვლავ აგრძელებს გარემოს დაბინძურებას – მიაჩნია საყდრისის კომიტეტის წარმომადგენელს. ბრიფინგზე ასევე აღინიშნა, რომ „არემვი



## საყდრისი

საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტი



გოლდის“ მიმართ მთელი სიმწვავეით დგას კითხვა – „რა გაკეთდა ბოლნისში გარემოს დასაცავად?“. საყდრისის კომიტეტს მიაჩნია, რომ გარემოს დასაცავად კომპანიის მხრიდან არანაირი ქმედ-

თი ნაბიჯები არ გადადგმულა.

– პრეზენტაცია, რომელიც წარმოადგინეს, იყო ძალიან ბუნდოვანი. მეტიც, ამ პრეზენტაციის შემდეგ საყდრისის კომიტეტს კიდევ უფრო მეტი კითხვები გაგვიჩნდა. მთავარი კითხვაა – რა გაკეთდა გარემოს დასაცავად? საქმე ის არის, რომ არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა და „არემვი გოლდი“ კვლავ აგრძელებს გარემოს დაბინძურებას.

გარდა ამისა, თავად კომპანიის ხელმძღვანელი დიმიტრი ტროცკი, რომელსაც გარემოზე უნდა ეზრუნა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების საშუალებით ცდილობდა, კონკრეტული ნაბიჯებისთვის თავი აერიდებინა. ჩვენ გვაქვს გარკვეული კითხვები გარემოს დაცვის სამინისტროსთან. ჩვენ აღარ გვაქვს კითხვები თავად კომპანიასთან, არამედ მივმართავთ თავად

გარემოს დაცვის სამინისტროს, რომელიც ბოლო რამდენიმე წელი ზედმეტად მამბებლურ პოლიტიკას ეწევა „არემვი გოლდთან“ მიმართებაში, – განაცხადა ბურჭულაძემ.

მისი თქმით, საყდრისის კომიტეტი გარემოს დაცვის სამინისტროს მოუწოდებს, კომპანია „არემვი გოლდის“ მისამართით ყველა ბერკეტი გამოიყენოს, რათა კომპანიამ რეალური სამოქმედო გეგმა დადოს. ბურჭულაძე მოითხოვს, რომ კომპანიამ კარგად განერილი პროგრამა წარმოადგინოს.

– გარემოს დაცვის სამინისტრომ ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს, რათა კომპანიამ დადოს რეალური სამოქმედო პროგრამა და კარგად განერილი გეგმა – გრანფიკი. ეს აუცილებელია, რადგან 2016 წლის ზამთარში გარემოს დაცვის სამინისტრომ, კერძოდ, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა კომპანიაში ჩაატარა ერთგვარი ინსპექტირება და მისი შედეგები საკმაოდ მძიმეა და შემაშფოთებელი, – ამბობს საყდრისის კომიტეტის წარმომადგენელი.

## უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ან ზოგადად, უძრავი ქონების გასხვისებაზე არავინ არანაირი შეზღუდვის შემოღებას არ აპირებს, – ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუშიშვილმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის, ფადი ასლის განცხადების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდა აღნიშნა.

– უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ან ზოგადად, უძრავი ქონების გასხვისებაზე არავინ არანაირი შეზღუდვის შემოღებას არ აპირებს, – ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუშიშვილმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის, ფადი ასლის განცხადების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდა აღნიშნა.

– ის კომუნიკაცია, რომელიც ჩვენს გუნდს ჰქონდა, აბსოლუტურად გასხვინდა იყო და არავინ აპირებს დაამძიმოს, ან შეამსუბუქოს მდგომარეობა იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენ გქონდა კომუნიკაცია. შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ან ზოგადად, უძრავ ქონებაზე არანაირი შეზღუდვის შემოღებას არავინ აპირებს, – განაცხადა ქუშიშვილმა.

– კიდევ ერთხელ მიწებთან და-

კავშირებით ვიტყვი, რომ ამაზე საუბარი არ არის, არ ყოფილა და არც განხილვებია საერთოდ. ერთადერთი განხილვის საგანი იყო სასოფლო-სამეურნეო მიწები. სხვა სახის მიწების განხილვის შემთხვევები არასდროს ყოფილა, – ეს განცხადება კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიაშვილმა გააკეთა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ფადი ასლის განცხადებით, უცხოელებზე არა მარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, არამედ ყველა ტიპის მიწის გაყიდვა აკრძალულია. ფადი ასლი „ფენისტუქის გვერდზე წერს, რომ კანონში, რომელიც პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო, სიტყვა „სასოფლო-სამეურნეო აღარ წერია და ის ყველა ტიპის მიწაზე გავრცელდება.“

კონსტიტუციაში აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით კომერსანტი უკვე წერდა.

კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის მე-19 მუხლში, სადაც საკუთრების უფლებაა გაერთიანებული დანიშნულების მიწა არ ფიგურირებს. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტში წერია, რომ: „მინა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით“ – აღნიშნულია ცვლილებების პაკეტში.



როგორც მაშინ პარლამენტის აგარაული კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებდა, ამ საკითხს ცალ-ცალკე ორგანული კანონი გამოიწვევს და დაარეგულირებს. როგორც დანელია განმარტავს, ეს იქნება მხოლოდ სასოფლო დანიშნულების

მიწის ნაკვეთზე და არასასოფლოზე ეს შეზღუდვა არ გავრცელდება.

– ერთადერთი იქნება ის, რომ არასასოფლო მიწის ნაკვეთის ყიდვის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება საინვესტიციო ვალდებულებები, – აცხადებს დანელია.

კითხვაზე, ხომ არ იძლევა კონსტიტუციაში ორსატიანი ცვლილების შემთხვევაში ნაკვეთის საშუალებას, დანელია აცხადებს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა და აღნიშნულ საკითხს მომავალში ორგანული კანონი დაარეგულირებს. „კონსტიტუციონალისტიკაში რამდენიმე ქვეყნის მაგალითი იხელმძღვანელებს. შესაბამისად, როგორც წესი, მიწის საკითხებს ორგანული კანონი არეგულირებს, – აცხადებდა დანელია.

## იბერეთში ჩახური „ბოჰემური ბროლის“ პროდუქციის წარმოება იგეგმება

იმერეთში შესაძლოა, ჩახური „ბოჰემური ბროლის“ პროდუქციის წარმოება დაიწყოს. ამის შესახებ საქართველოს ელჩმა ჩეხეთის რესპუბლიკაში ზაალ გოგასაძემ „კომერსანტთან“ საუბრისას აღნიშნა.

გოგასაძის თქმით, ჩეხეთის ბიზნესრეგულირების საკარტელში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული არიან.



– ჩეხეთსა და საქართველოს შორის საკმაოდ საკმარისი, კომერციული წინადადებების გაცვლა ხდება და არსებობს დაინტერესებულ ჩეხეთის ბიზნესრეგულირებისა საქართველოში ინვესტიციების ჩადების კუთხით. არის რამდენიმე ხელშეკრულება წინადადება, მაგალითად, ამ ეტაპზე ჩახური „ბოჰემური ბროლი“ დაინტერესებულია საქართველოში წარმოების დაწყებით.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს და

ვანახოთ, როგორ დასრულდება. ჩახური მხარის წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით, სპეციალურად საქართველოში ჩამოსვლებიც იყვნენ. ეკონომიკის მინისტრსა და იმერეთის გუბერნატორსაც შესვდნენ. სავარაუდოდ, სწორედ იმერეთის მხარეში მოხდება შესაბამისი ინვესტიციის ჩადება და ბროლის წარმოების განხორციელება, – განუცხადა კომერსანტს ზაალ გოგასაძემ ამბასადორიალი 2017-ის მიმდინარეობის ფარგლებში.

მისივე თქმით, ჩეხეთის ბიზნესრეგულირების საქართველოში მცირე შესვლების შემთხვევაში სურვილსაც გამოთქვამენ: „ჩეხეთის ბიზნესრეგულირების წარმომადგენლების მხრიდან ენერგეტიკის დარგში არის გარკვეული ინტერესები. საუბარია მცირე შესვლების შემთხვევაზე, რისი სურვილიც თავად გამოთქვეს. ჯერჯერობით მოლაპარაკებები არ დაწყებულა. მხოლოდ კვლევის დონეზეა ეს პროცესი.“

რაც შეეხება ჩეხეთის მოქალაქეების მხრიდან საქართველოში ტურისტულ დაინტერესებას, ზაალ გოგასაძის თქმით, დაინტერესება ძალიან გაზრდილია, რაც იმის დამსახურებაა, რომ ქვეყანა ამ კუთხით უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება.

– ჩეხეთის მხრიდან საქართველოში დაინტერესება ძალიან იზრდება. ამ მიმართულებით თავდაცვა გააქტიურებული არიან. ეს მთლიანად სახელმწიფო პოლიტიკის დამსახურებაა და, რა თქმა უნდა, ჩვენის საელჩოს წვლილიც არის. უმთავრესად კი, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველო ტურისტული კუთხით უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება, – აღნიშნა ზაალ გოგასაძემ.

## ნაბელაჟი ადგილობრივი პროდუქციის მამოძრავებელი ტურქულ სასოფლო-სამეურნეო ნივთების

ქართული წარმოების პლასტმასის პროდუქციამ იმპორტირებულს კონკურენცია გაუწია და ბაზრის 20-25 პროცენტი დაიკავა. საუბარია, ბოთლის საცობებზე, რომელსაც კომპანია „ჯეოკეპი“ აწარმოებს. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ენრიკო მოსულიშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ დროისთვის კომპანია ადგილობრივი პროდუქციით ამარაგებს ისეთ დიდ კომპანიებს, როგორებიცაა „ქართული ლუდის კომპანია (ზედაზენი)“, „ბორჯომი“ და „ნატაბი“.

მისი თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კომპანია „ნაყალი მარგებელთან“ (ნაბელაჟი), თუმცა, უშედეგოდ. მოსულიშვილი აცხადებს, რომ მინერალური წყლის კომპანია ამ ეტაპზე უპირატესობას იმპორტირებულ პროდუქციას ანიჭებს.

– ნაბელაჟს ანალოგიური პროდუქტი უფრო ძვირად ტურქეთიდან შემოაქვს, ჩვენთან კი მოლაპარაკებაზე არ მოდის. ზოგადად, საცობების ადგილობრივი მომხმარებლები ძალიან ძნელად ირჩევენ ქართულს და უპირატესობას იმპორტირებულს ანიჭებენ. მიზეზი არ ვიცი, – აცხადებს მოსულიშვილი.

მისივე განმარტებით, კომპანია „ჯეოკეპი“ 3 თვეა სომხეთში ექსპორტის განხორციელება დაიწყო. მოსულიშვილის თქმით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანთან და რუსეთთან.



როგორც მოსულიშვილი აცხადებს, კომპანია მიმდინარე წლის დასაწყისისთვის დამატებით, ახალი სახეობის ბოთლის საცობების გამოშვება დაიწყო, რაშიც დაახლოებით 400.000 ევროს ღირებულების ინვესტიცია განხორციელდება. ამჟამად კომპანია 4 სახეობის საცობს აწარმოებს.

კომპანია ჯეოკეპმა 2014 წელს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მიიღო მონაწილეობა. შედეგად, საკუთრებაში გადაეცემა თბილისში, ორხევის დასახლებაში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15,003 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, საპროექტიზებო პირობების შესრულების მიზნით დაევალი, არანაკლებ 2.622.000 ლარის ინვესტიციის განხორციელება. კომპანიამ დღემდე უკვე 2.5 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტიცია განახორციელა.

## მაღალმთიანი დასახლებების წესებს 37 სოფელი დაემატა

მაღალმთიანი დასახლებების წესებს 37 სოფელი დაემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგები, ექიმები, პენსიონერები და სოციალურად დაუცველები დამატებით შეღავათებს მიიღებენ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, დამატებით შეღავათებს მიიღებენ კომპანიებიც, რომლებიც „მთის კანონის“ თანახმად, მთელი რიგი გადასახადებისგან თავისუფლდებიან.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2016 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული, 250-მა კომპანიამ უკვე ისარგებლა ამ შეღავათებით. ვფიქრობ, ეს კანონი მნიშვნელოვანწილად შეცვლის ცხოვრების დონეს ჩვენს მთიან რეგიონებში არა მხოლოდ იქ მოსახლეობის დამაგრების კუთხით, არამედ, ვფიქრობ, ბევრი ადამიანი დაბრუნდება. ეს ტენდენცია საბუნდოვანოდ უკვე შეინიშნება, რაც ძალიან მახარებს და, სავარაუდოდ, გაგრძელდება, – აღნიშნა გიორგი კვიციანიშვილმა.

## საქართველოში მიმოქაჩაჟი 9,3 მილიონი საბანკო პლასტიკური ბარათია

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის ივნისში საქართველოს ბაზარზე მიმოქაჩაჟი სულ 9.313.926 საკრედიტო და სადებეტო ბარათი იყო.

საბანკო სტატისტიკის მიხედვით, ივნისში საგადახდო საკრედიტო ბარათების რაოდენობამ 684.640 ერთეული შეადგინა, საგადახდო სადებეტო ბარათების რაოდენობამ კი – 8.629.286 ერთეული.

რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს, 2016 წლის ივნისში ბაზარზე იყო 744.801 საკრედიტო ბარათი და 7.643.761 სადებეტო ბარათი.





### სენატმა კრისტოფერ რეის კანდიდატურას მხარი დაუჭირა

აშშ-ის სენატმა გვზ-ს ახალი დირექტორის კანდიდატურას მხარი დაუჭირა. ტრამპმა ამ პოსტზე კრისტოფერ რეი წარადგინა. რეის მხარს სენატის ყველა წევრი ერთხმად უჭერს. კრისტოფერ რეი 1966 წელს დაიბადა. დაამთავრა იელის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა ადვოკატად და რამდენიმე გახმაურებული პროცესი მოიგო. იყო აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს კრიმინალური განყოფილების უფროსი და აშშ-ის გენერალური პროკურორი.

### პომპეო: „რუსეთი აშშ-ის საპროფილანტო არჩევნებში 8 წელზე მეტია ერევა“

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორ მაიკლ პომპეოს განცხადებით, რუსეთი აშშ-ის საპროფილანტო არჩევნებში რვა წელზე მეტია ერევა.

აღნიშნულის შესახებ მაიკლ პომპეომ უსაფრთხოების შესახებ კონფერენციაზე განაცხადა. კითხვაზე, ჩაერთა თუ არა რუსეთი 2016 წლის საპროფილანტო არჩევნებში, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უპასუხა:

— მე მილიონჯერ დამიხვეს ეს კითხვა. დიას, რუსეთი ჩაერთა ამ არჩევნებში. რუსეთი ჩაერთა მაგის წინ ჩატარებულ არჩევნებშიც. რუსები უკვე დიდი ხანია, ამით არიან დაკავებული. ვფიქრობ, არც აპირებენ ამის შეწყვეტას.

მაიკლ პომპეომ ასევე აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსეთი უფრო აქტიურად იყენებს მედიასაშუალებებს თავის ინტერესებისთვის.

— ადრე ძვირი ჯდებოდა სიუჟეტის ტელევიზიაში ჩვენება. ახლა კი შეიძლება უბრალოდ ინტერნეტის გამოყენება. რუსებმა ეფექტური და მარტივი ხერხი იპოვეს, რათა გავლენა მოახდინონ ჩვენს სისტემაზე და კულტურაზე, რათა სასურველ შედეგებს მიაღწიონ, — განმარტა პომპეომ.

### გენერალი როჯერსი: „რუსული არმია ბელორუსში დარჩება“



აშშ-ის ძალების სარდალმა ევროპაში გენერალმა როჯერსმა შეშფოთება გამოთქვა ბელორუსის ტერიტორიაზე რუსეთ-ბელორუსის სამხედრო სწავლებების „დასავლეთი 2017“-ის გამო. ის ამა წლის სექტემბერში დაიწყება. როჯერსის აზრით, რუსული არმია და სამხედრო ტექნიკა ბელორუსში სამხედრო სწავლებების დამთავრების შემდეგაც დარჩება.

— ესაა მუშტი როგორც ნატოსადმი, ასევე უკრაინისადმი, რომელმაც პრო-დასავლური კურსი აირჩია, — აცხადებს როჯერსი.

გენერალი მიიჩნევს, რომ ბელორუსის პოზიციას რუსული არმიის დარჩენის მიმართ მნიშვნელობა არა აქვს. ბელორუსი მოსკოვის გავლენის ქვეშ არის. პუტინსაც გააჩნია ყველა ბერკეტი, რათა აიძულოს ლუკაშენკო, რუსული არმიისა და ტექნიკის დარჩენას დაჰყავდეს.

— არ გამოვრიცხავ, რომ ბელორუსიდან რუსებმა უკრაინას დაარტყან, — ამბობს როჯერსი.

### გერმანია-თურქეთის ურთიერთობები მწვავედა

თურქეთში გერმანიის მოქალაქე შტოიდტენერის დაპატიმრებამ ბერლინისა და ანკარის ურთიერთობა მკვეთრად დაძაბა. თურქეთში ხელისუფლება შტოიდტენერს ტერორისტების დამკავშირებლად დასაბუთებს. ბერლინი ამ ბრალდებას ცილისწამებას უწოდებს.



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელმა განაცხადა, რომ თურქეთის მიმართ სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს. საუბარია თურქეთში გერმანული ინვესტიციების მკვეთრ შემცირებაზე. ამას გარდა, გაბრიელმა გერმანელ ტურისტებს მოუწოდა, რომ თურქეთში ჩასვლისაგან თავი შეიკავონ.

### ალექსანდრა ლუკაშენკო კიევი ჩავიდა

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრა ლუკაშენკო ორდღიანი სამუშაო ვიზიტით უკრაინას ესტუმრა. კიევი მას პრეზიდენტი პოროშენკო შეხვდა.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა-ბელორუსის შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღვივება.

მომავლად ნიკა თევზაძემ

### საბერძნეთში მიწისძვრის შედეგად შვიდი და თურქი ტურისტები იყვნენ



საბერძნეთში, კუნძულ კოსზე მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპული ორი პირი შვიდი და თურქი ტურისტები იყვნენ.

არსებული ინფორმაციით, ტურისტები ძველ ქალაქში კედლის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპნენ. დაშავებულია 100-ზე მეტი პირი. აქედან 5 დაშავებული მიიმე მდგომარეობაშია. მიწისძვრის ეპიცენტრი ეგეოსის ზღვაში, კუნძულიდან 16 კილომეტრში იყო. მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა თურქეთში ეგეოსის ზღვის სანაპიროზეც. ბოდრუმისა და მარმარიის ტურისტულ ზონას ზიანი მიადგა.

6,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას თურქეთში მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა არიან დაშავებულები.

ბ. გ.



### იემენს, სამხრეთ სუდანს, ნიგერიასა და სომალის წელს შიშველი ეპოქა ემუქრება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციით, 2017 წელს იემენს, სამხრეთ სუდანს, ნიგერიასა და სომალის შიშველი ემუქრება. ამის შესახებ საუბარი გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ანგარიშში. ამ ქვეყნებისთვის საჭიროა ჰუმანიტარული დახმარება 2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, მაგრამ ორგანიზაციას მათი სათანადოდ დაფინანსება არ შეუძლია. ორგანიზაციის ინფორმაციით, აუცილებელი ტრანსფერის არსებობის შემთხვევაშიც კი უამრავი ადამიანი დახმარებას ვერ მიიღებს იმის გამო, რომ ჰუმანიტარული მისიების წვდომა დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებთან შეზღუდულია.



გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა გეგმავს ამ ქვეყნებში მოშიშველითა რაოდენობის 20 მილიონიდან 17 მილიონ ადამიანამდე შემცირებას. მარტში ორგანიზაცია უკვე დაეხმარა 3,6 მილიონს — იემენის, 2 მილიონს — სამხრეთ სუდანის, 1,67 მილიონს — სომალისა და 1,2 მილიონს ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის მცხოვრებლებს. 2017 წლის 12 მარტს გაეროს დენილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამმართველომ ამ ქვეყნებში ადამიანთა მასობრივი გარდაცვალების შესახებ განაცხადა.

ბ. გ.

### ნავალინი: „პუტინის მეთოდებით რუსეთს ვერ გავაქლიერებთ“



ტელეკომპანია „დოჟდო“ რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ ნავალინისა და დონბასელი სეპარატისტების ბანდების ექსტრემურ იგორ სტრელკოვის (გირკინი) დებატები გადასცა.

სტრელკოვმა განაცხადა, რომ 1991 წლის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას მხარს არ უჭერდა, 2014 წელს კი, როცა უკრაინაში იანუკოვიჩი დაამხეს, დაიჯერა, რომ პუტინს სურდა „ზემოდან რევოლუციის მოწყობა“ და რუსეთის ძლევამოსილების აღდგენა.

— ამიტომაც ჩემს ბიჭებთან ერთად დონბასში გადავედი. ჩვენ დავიკავებთ სლავინსკი და უკრაინის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის რუსეთთან შესაერთებლად მზად ვიყავით, — თქვა სტრელკოვმა.

ნავალინი ამასზე მიუგო, რომ ომმა დონბასში რუსეთს მხოლოდ ზიანი მოუტანა. ასევე უაღრესად საზიანო იყო ომი ყირიმში. ნავალინი აღნიშნა, რომ რუსეთის ძლევამოსილების აღდგენის მომსრევა, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია იმ მეთოდებით, რომლებითაც პუტინი მოქმედებს.

— პუტინის გზამ რუსეთი ჩიხში შეიყვანა, — ამბობდა ნავალინი.

### ლიტვა აპერიკული რაკეტების განთავსებას მოითხოვს

ლიტვის პრეზიდენტმა გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტები უნდა განთავსდეს. როგორც ცნობილია, ლიტვაში მიმდინარე სამხედრო სწავლებების დროს აპერიკელებმა იქ ასეთი რაკეტები მართლაც ჩაიტანეს.



— „პეტრიოტის“ რაკეტები რუსული აგრესიის შემთხვევითი ერთადერთი ფაქტორია, — განაცხადა გრიბაუსკაიტემ.



# როგორ ვპართომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ზაფხულში

ეკა ირემაშვილი



ზაფხული და მზის სხივები აჯანსაღებს და ენერჯით ავსებს ადამიანებს, მაგრამ, როცა საუბარია გულის ამა თუ იმ პათოლოგიასა და ქრონიკულ დაავადებებზე, შეიძლება ამან უფრო უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს ადამიანის ორგანიზმზე.

როგორ ვპართომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ზაფხულში და რა რეკომენდაციებს იძლევიან კარდიოლოგები? — ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-კარდიოლოგი თამარ ავალიანი საუბრობს.

### თამარ ავალიანი:

ზაფხული და მზის სხივები აჯანსაღებს და ენერჯით ავსებს ადამიანებს, მაგრამ, როცა საუბარია გულის ამა თუ იმ პათოლოგიასა და ქრონიკულ დაავადებებზე, შეიძლება ამან უფრო უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს ადამიანის ორგანიზმზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს მზის სხივების ინტენსივობასა და ხანგრძლივობას, თუ რა ხანგრძლივობით არის ზემოქმედება ორგანიზმზე. შეიძლება ადამიანი არ იცოს მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ იმყოფებოდეს დახურულ სივრცეში, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების ქვეშ და არსებობს ე.წ. საბურთის ეფექტი, როცა მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე. იმავენიერვად მოქმედებს ორგანიზმზე მზის დაკვრა, ასევე სითბური დაკვრა და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. განსაკუთრებით ეს ეხება ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებს. ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში არიან პაციენტები გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით.

როგორც ცნობილია, გული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა ორგანიზმში, რომლის ფუნქციისაც წარმოადგენს ორგანიზმისა და ქსოვილების მომარაგება სისხლით, საკვები ნივთიერებებით, უნებავადით. როდესაც ადგილი აქვს გარემო ტემპერატურის მატებას, იგი თავის ფუნქციას ორჯერ უფრო ძლიერად ასრულებს, ცდილობს, უფრო მეტი სისხლი მიანდოს განსაკუთრებით სხეულის ზედაპირს და ამით უზრუნველყოს ე.წ. თვითგარეგნობა. ორგანიზმს აქვს თვითგარეგნობის უნარი, რითაც იგი იცავს ორგანიზმს გარემოს მაღალი ტემპერატურისაგან.

როცა საქმე ამა თუ იმ პათოლოგიას ეხება?


როცა ამა თუ იმ პათოლოგიასთან გვაქვს საქმე, შესაბამისად, თვითრეგულაციის უნარი არის მოშლილი და ზუსტად ამ დროს გარკვეული ძვრები ვითარდება ორგანიზმში, ჯანმრთელობის მდგომარეობა ირყევა და გარკვეული დაავადების გამწვავებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიცოდეთ ესა თუ ის სიმპტომი, რომ დროული რეაგირება, დროული პროფილაქტიკა მოვახდინოთ და დაავადების პროგრესირება არ შევუწყოთ ხელს.

რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?

პირველ რიგში, გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს ვითარდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

რატიურის დროს ვითარდება ცხელება, ლებინება, თავბრუსხვევა, გულისრევა. ეს არის ნიშანი, რომ პაციენტმა მეტი ყურადღება მიაქციოს საკუთარ ჯანმრთელობას და დროული რეაგირება მოახდინოს.

რაც შეეხება დროულ ჩარევას, ამ დროს აუცილებელია მაღალი ტემპერატურის არედან პაციენტის გადაყვანა შედარებით უფრო გრილ გარემოში და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სითხის მიღება. სითხის მიღება უმთავრესია გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს, ვინაიდან ამ დროს ორგანიზმი განიცდის დეჰიდრატაციას ანუ სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვას, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევას სათავეს წარმოადგენს. პაციენტმა ამ დროს რაც შეიძლება აქტიურად უნდა მიიღოს წყალი ან მინერალური სასმელი, თუმცა აქაც გარკვეული ზომიერების დაცვაა საჭირო. პაციენტებთან, რომლებთანაც დიაგნოსტიკურად მიიკარდიუმის გადატანილი ინფარქტი, გულის უკმარისობა, სითხის მიღების დროს სიფრთხილეა საჭირო. ჭარბი სითხის მიღებამ ასეთ პაციენტებში შეიძლება უარესი შედეგი მოიტანოს და სარგებლო-



ბის მაგივრად მივიღოთ ზიანი. ეს უნდა მოხდეს მკურნალ ექიმთან შეთანხმებით, სიფრთხილით, უნდა მოხდეს მიღებული და გამოყოფილი სითხეების კონტროლი. ყველა ასეთ ავადმყოფთან მიდგომა ინდივიდუალურად უნდა დაიგეგმოს.

როცა საუბარია გულის ქრონიკულ დაავადებებზე...

როცა ვსაუბრობთ გულის ქრონიკულ დაავადებებსა და გარემოს მაღალ ტემპერატურაზე, სასურველია, ასეთ პერიოდში გულით ავადმყოფები ნაკლებად გავიდნენ გარეთ, უფრო იყვნენ შენობაში, რომელიც კონდიციონერით არის აღჭურვილი და, თუ მაინცდამაინც გარეთ გასვლა აუცილებელია, უმჯობესია, ეს მოხდეს დილით ადრე ან საღამოს საათებში.

რა ეკრძალებათ ასეთ ავადმყოფებს?

რეკომენდებული არ არის კოფეინისა და ალკოჰოლის შემცველი სასმელების მიღება ამ პერიოდში, რადგან ეს პროდუქტები უფრო ზრდის დეჰიდრატაციის ხარისხს, რაც სათავეს წარმოადგენს ზაფხულის ცხელ დღეებში.

შეიძლება თუ არა ფიზიკური აქტივობა ტემპერატურის მატების დროს?

გულით დაავადებული ადამიანებისთვის შეზღუდულია ფიზიკური აქტივობა და ესეც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დაავადებასთან



გვაქვს საქმე და მიდგომა ყველა ავადმყოფთან ირჩევა ინდივიდუალურად. როცა ფიზიკურ აქტივობასთან, ვარჯიშთან გვაქვს საქმე, უმჯობესია, ეს ზაფხულში მაქსიმალურად შეიზღუდოს. თუ არის ძალიან დიდი სურვილი, მაშინ ეს მოხდეს სპორტულ დარბაზებში, იქ, სადაც კონდიციონერის სისტემაა, ხოლო თუ გარეთ არის ამის განხორციელების სურვილი, ეს უნდა მოხდეს დილით ადრე ან საღამოს საათებში.

აქვს თუ არა მნიშვნელობა სამოსის ასეთი პაციენტებისთვის?

როცა მატულობს გარემო ტემპერატურა, გარკვეული რეკომენდაციები არსებობს ტანსაცმლის ტარებასთან მიმართებით. სასურველია, სამოსი იყოს ღია ფერის, ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული, ვიდრე მუქი ფერისა და სინთეტიკისგან დამზადებული, რაც ასევე ხელს უწყობს ხოლმე ორგანიზმის გადახურებას, სითბურ დაკვრას.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კვების ხარისხსაც. სასურველია ხშირ-ხშირი კვება მცირე ულუფებით. საკვები რაციონი გაჯერებული უნდა იყოს ძირითადად ხილითა და ბოსტნეულით, რადგან ეს პროდუქტები უფრო შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, რაც ზუსტად ამ დროს აუცილებელია ორგანიზმისთვის და რის დანაკლისსაც განიცდის ორგანიზმი ზაფხულის ცხელ დღეებში.

შეიძლება თუ არა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პაციენტმა დაისვენოს ზღვაზე?

ასეთი პაციენტებისთვის რეკომენდებულია მიიან რაიონში დასვენება, მაგრამ ეს არ ეხება ალპურ ზონას. რაც შეეხება ზღვას, აბსოლუტურად უკუჩვენება ნამდვილად არ არის, მაგრამ ესეც გარკვეული რეკომენდაციების დაცვით, სასურველია ზღვის სანაპიროზე გასვლა დილით ადრე ან საღამოს, როცა მზის მცხუნვარე სხივები არ არის. ზომიერების ფარგლებში ყველაფერი დასაშვებია.

## განსხვავებები

### თამარ ავალიანი

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამონეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთელემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამოიწვევს. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენი დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭ-შეკრულობა, კუჭ-პილილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთელემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 558-34-36-24.

● კოქსართროზის, სტოქოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართროზების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის განმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსული, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმალღეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანი. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მესხიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტეროლისაგან, წნევის დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდის მოშლა-გახსიერების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ზუსასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის სავსეთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## საქვეყნობა

### ალაბამელმა მონადირემ 370-კილოგრამიანი ტახი მოკლა

ამერიკის ალაბამის შტატის მცხოვრებმა 370-კილოგრამიანი გარეული ტახი პირდაპირ თავისი სახლის მახლობლად, მდელოზე მოკლა.

ტაქსიდერმისტი უეიდ სეარო ნადირობით არის დაკავებული. სახლში მყოფ მამაკაცს ქალიშვილის ყვირილი და თავისი ძაღლის ყეფა შემოესმა. ფანჯარასთან მისულმა საკუთარი სახლიდან სუთ მეტრში ტახი შენიშნა.

სეარომ ტახს რეოლვერიდან სამი ტყვია ესროლა, სანამ ცხოველი მინაზე დაეცემოდა. ამერიკელი ტახისგან ფიტულის დამზადებასა და მის ადგილობრივ მაღაზიაში დადგმას აპირებს, რომელიც ტაქსიდერმისტიებისთვის არის განკუთვნილი.



### ცხოველთა დამცველებმა სამხრეთ კორეაში სახორცე ფერმებიდან 149 ძაღლი გადაარჩინეს

სამხრეთ კორეის ოლქ იესანში 149 ძაღლი გადაარჩინეს, რომლებსაც იმისთვის ინახავდნენ, რომ შემდეგ საკვებად გამოიყენებინათ. ამ ინფორმაციას ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია ავრცელებს.

ძაღლები ფერმის მფლობელმა გადაწყვიტა, საკუთარი საქმიანობა შეეცვალა და დახმარებისთვის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას მიმართა. ის ძაღლების გათავისუფლებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაუმჯობესებას აპირებდა. ორგანიზაცია მას ამ გეგმის განხორციელებაში ეხმარება. გადაარჩენილი ცხოველების უმრავლესობა, აშშ-ის ცხოველთა თავშესაფრებში გადააგზავნეს. რამდენიმე ლეკვი სამხრეთ კორეაში გასაზრდელად დატოვეს.

ცხოველების დახმარება ყოველწლიური დღის პოკნალისთვის იგეგმებოდა, რომელსაც წვნიანი პოსინტანის მიღებით აღინიშნება და რომელსაც ძაღლის ხორციით ამზადებენ. გარეცხვითი ინფორმაციის თანახმად, სამხრეთ კორეაში ძაღლის ხორცის 70-80 პროცენტი სწორედ ამ პერიოდში იჭმევა.

2014 წლიდან მოყოლებული, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის დახმარებით სამხრეთ კორეაში ძაღლების 10 ფერმა დაიხურა და ამის შედეგად ათასამდე ძაღლი გადაარჩა.



# კაპანი მურზინი: „თაბაში ნა-ს ჩაპიონის ნინაღაღა მოგვიჩვენა“

უკრაინის საკალათბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 31 აგვისტოს დაიწყება, საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა. უკრაინელებმა მომავალი ტურნირისთვის მზადება უკვე დაიწყეს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ევგენი მურზინმა 17 კალათბურთელი შეკრიბა და შინაურ კედლებში ვარჯიში უკვე დაასრულეს, შემდეგ კი გზის სლოვენიისკენ აიღებენ, სადაც ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იმყოფება.

ალსანიშნავია, რომ შემადგენლობას 3 ახალი კალათბურთელი დამატდა — ესტონური ტარტუ-როკის წევრ მარკ კონატეს, კანადაში მოღვაწე ოსტაპ ჩოლიისა და კიევის ბუდიველინიის ცენტრ მარკო მანდის. უკრაინულ ნაკრებში არასდროს უთამაშიათ.

ჯერაც საეჭვოა ნაკრებში ჯოელ ბოლომბოსის, პუშ ჯეტერისა და ალექსეი ლენის ჩამოსვლა, რომელთაც შესახებაც მურზინმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა. ნაკრებში მუხლის ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა ფრანგული მონაკოს შემტევი მცველი სერგეი გლადირი.

ერთი სიახლე უკრაინელთა სამწვრთნელო შტაბშიც: გუნდს შეუერთდა ფიზიოთერაპიის ბერძენი სპეციალისტი პეტროს სირაკოპულსი. გასულ სეზონში ის ტრიკალის ოლეკსანდრ ლიპოვიის ავარჯიშებდა და, როდესაც მისი საშუალებით უკრაინელთა ნინაღაღების შესახებ შეიტყო, სიამოვნებით დათანხმდა.

**ევგენი მურზინი:**  
— ჯერჯერობით, გუნდის საერთო მზადყოფნაზე საუბარი ნაადრევია — მხოლოდ 8 ვარჯიში ჩავატარეთ. ბიჭები სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან: ვიღაც 70%-ით არის მზად, ვიღაცას კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება. ამჟამად, მსუბუქი დატვირთვები გვაქვს, მოგვიანებით კი უფრო მკაცრ რეჟიმზე გადავერთვებით. ჩამოვიდა



ყველა, ვისაც ველოდით. მიკროტრავმები გვაქვს, თუმცა, სერიოზული არაფერია. ნაკრებში არსებული ატმოსფეროთი კმაყოფილი ვარ: კალათბურთელები პირველ შეკრებას გაცილებით სერიოზულად მიუდგნენ, ვიდრე — შარშან. ზედმეტი წონა არავის აწუხებს.

**— შემადგენლობაში ცვლილებები თუ იქნება? მაგალითად, საქმეში ვერ ვხედავთ ალექსანდრ რიაბჩუკს.**

— ის შეკრებაზე მცირე ტრავმით ჩამოვიდა და 1 აგვისტომდე მოსაშუშებლად დრო მივეცით. იმედი მაქვს, რომ იტალიიდან ჩამოსვლის მერე, რიაბჩუკი შემოგვიერთდება. გლადირის შესახებ ყველაფერი იცით, ასევე — ბოლომბოსისა და ლენზე. მცირე იმედი მაქვს, რომ ამ ბიჭებიდან რომელიმე მაინც დაგვემატება. პუშ ჯეტერის საკითხი 1 აგვისტოს გაირკვევა.

**— ევროპის ჩემპიონატამდე მოსამზადებელი გეგმა როგორ არის გაწერილი?**

— 21 ივლისს სლოვენიაში მივემგზავრებით, სადაც შეკრება ორ ეტაპად გვაქვს დაგეგმილი. იტალიაში 2 საკონტროლო მატჩი გველის და იმედია მაქვს, ფინალში იტალიას ვეთამაშებით. მოგესხებათ, იტალიელებთან დაპირისპირება ევროპის ჩემპიონატზეც მოგვიწევს და მათთან ძაღვლის მოსინჯვა სასარგებლო იქნება.

**— ევროპის მეტოქეებს როგორ შეაფასებდით?**

— ევროპისკენ სუსტი ჯგუფები და სუსტი მეტოქეები არ არსებობენ. ყოველი მატჩისთვის ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. გერმანიასა და იტალიას განსაკუთრებით ძლიერი გუნდები ეყოლებათ. გამორ-

ჩეული პერსონები სხვებსაც ჰყავთ, სხვა თუ არაფერი ჩვენს ნინაღაღაგუნდას ჩემპიონიც ითამაშებს.

**— უკრაინის ნაკრების თამაშის სტილი მეტოქეების მიხედვით შეიცვლება?**

— ცხადია, კონკრეტული მონინაღაღაგუნდის შესაძლებლობების მიხედვით ვითარდება. ვეცდებით, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, მეტოქეს თავს ჩვენი სტილი მოვავსოთ და მათი მინუსები, თუ ასეთი იქნება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. მცირე ხანში, მეტოქეთა შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ხელთ გვექნება.

**— ნაკრებს ბოლო წაშლ დაამატეთ ოსტაპ ჩოლიი. მის თამაშს რამდენად იცნობთ?**

— ის უკრაინელია, რომელიც კანადაში ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაბარდა. 5 წლის წინ, ოსტაპი ნაკრებში მიკ ფრატელომ გამოიძახა, თუმცა, მან მან შეკრებაზე მცირე დრო გაატარა. გადაწყვიტეთ, კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ მომავალში აქვს თუ არა. თუკი პროგრესი აქვს, იქნებ ნაკრებსაც გამოადგეს.

**— ეროვნულ გუნდს ფიზიოთერაპიის უცხოელი სპეციალისტი პეტროს სირაკოპულსიც შემოუერთდა.**

— დიდი ხანია მინდოდა, რომ ნაკრებს კონკრეტულად ფიზიოთერაპიის მწვრთნელი მყოფოდა და ფედერაციამ ჩემი სურვილი დააკმაყოფილა. ეროვნული გუნდის წევრთა უმეტესობა საზღვარგარეთ თამაშობს და მათთან სპეციალიზებული მწვრთნელები მუშაობენ. ვფიქრობ, ეს პრაქტიკა ნაკრებშიც საჭიროა.

**— ლენტთან და ბოლომბოსთან კონტრაქტი თუ გაწერდათ? ისინი როგორ განწყობაზე არიან?**

— მათ უკრაინის ნაკრებში თამაშის სურთ, თუმცა, არის გარკვეული მიზეზები, რის გამოც შეკრებაზე არ ჩანან. თავად ისინი მზად არიან ეროვნულ გუნდს სხვაზე შეუერთდნენ, მაგრამ აგენტები და კლუბების წინაშე

არსებული ვალდებულებები ამის საშუალებას არ აძლევთ. ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ეს ბიჭები ევროპის ჩემპიონატზე დაგვეხმარებიან.

**— ასეთ შემთხვევაში, ნაკრებში დიდი მოთამაშეების როდენობა ძალიან გაიზარდა. თუ ეს სასიამოვნო თავის ტყვილია?**

— ეს თავის ტყვილი უკვე ახლა არსებობს, თუმცა, ევროპისკენ საუკეთესოები ნაკლებ.

**— კრავცოვსა და ფენსკოს სეზონის განმავლობაში ტრავმები აწუხებდათ. ახლა როგორ გრძობენ თავს?**

— კრავცოვი სრულად მომჯობინდა და ფენსკოც, ფაქტობრივად, ბოლომდე მზად არის.

**— სევიტოსლავ მიხაილიუკის იმედი თუ გაქვთ?**

— მართალი გითხრათ, არა. იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც მაქვს, ახალგაზრდული ევროპირველობის მერე ის კანზასის უნივერსიტეტის გუნდთან ერთად ევროპულ ტურნეზე უნდა გაემგზავროს. ასეთ შემთხვევაში მიხაილიუკს ეროვნულ ნაკრებში ჩამოსვლა მხოლოდ 15 აგვისტოს შემდეგ შეეძლება, ეს კი ძალიან გვიანია.

ამ დროისთვის შეკრებაზე შემდეგი მოთამაშეები იმყოფებიან: დენის ლუკაშოვი (ენისეი, რუსეთი), ალექსანდრ ლიპოვი (ტრიკალა, საბერძნეთი), მარკო მანდის (კლუტი, რუმინეთი), მარკო მანდის (ლუკოვილ აკადემიკი, ბულგარეთი), ვიანჩესლავ კრავცოვი (ვალენსია, ესპანეთი), კირილ ფენსკო (აველინი, იტალია), იგორ ზაიცევი (როსა რადომი, პოლონეთი), ვიანჩესლავ ბობროვი (კვიპერი, საფრანგეთი), ვადიმირ კოლენი, ალექსანდრ რიაბჩუკი (ორივე ხიმიკი), ალექსანდრ მიშულა (დნიპრო), არტიომ პუსტოვოი (ობრადლო, ესპანეთი), რუსლან ოტვერენკო, პაველ კრუტოუსი, მარკო მანდის (ყველა ბუდიველინიკი), მარკ კონატე (ტარტუ-როკი, ესტონეთი), ოსტაპ ჩოლიი (ბრუინსი, კანადა).

# ედინსონ კავანი: „ბარსასთან რას მოხდა, სრული უსამართლობა იყო“

გასული სეზონი ედინსონ კავანის კარიერაში ყველაზე შედეგიანი იყო. მას სულ რაღაც ერთი გოლი დააკლდა 50-ის შესასრულებლად. თუმცა, 30 წლის ურუგვაელი კამაიფილი არ არის და საკუთარ თავზე მუშაობას აპირებს.

**— გასული სეზონი თქვენთვის საუკეთესო იყო?**

— პირადად ჩემთვის ნამდვილად წარმატებული იყო — სტატისტიკა არ იტყუება.

**— იმავეს ვერ ვიტყვით პსუ-ზე — ვერც საფრანგეთის ჩემპიონატი მოიგეთ და ჩემპიონთა ლიგაშიც გააგრძელეთ.**

— უნდა დაგეთანხმოდით. გასულ ზაფხულს გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა და ახალი იდეები მოიტანა. პარიზის ქუჩებში ხალხს აზრი რომ ჰქონოდათ, ყველა გეტყვით, როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა. შეიძლება იცვლებოდნენ მწვრთნელები, მაგრამ არ უნდა იცვლებოდეს თამაშის მანერა, ტრადიცია. ცხადია, ემერიმ თავისი იდეები მოიტანა. ასეთ დროს დანაკარგები გარდაუვალია, თუნდაც სეზონის სტარტზე. ამიტომაც იყო არასტაბილურობა, ვუშვებდით ბევრ შეცდომას... მაგრამ მერე და მერე მოვუშავეთ. სწორედ სტარტზე დაკარგული ქულები არ გვეყო ჩემპიონობისთვის. მაგრამ, არა უშავს, ეს გაკვეთილი იყო, ახალ სეზონში სხვანაირად იქნება.

**— ყველაზე მეტად რამ დაგწვიტათ გული ჩემპიონობის დაკარგვამ თუ ლიგაში ბარსელონასთან მარცხმა?**

— უფრო მეორე. შინ ბრწყინვალედ ვითამაშეთ, სტუმრად კი მივიღეთ ისეთი შედეგი, რომელსაც ნამდვილად არ ვიმსახურებდით. რაღაც დაუფერებელი მოხდა.

**— ის მატჩი, ალბათ, ათეულობით წლების შემდეგაც გემახსოვრება.**

— რა თქმა უნდა! კლუბის ისტორიაშიც დარჩება. ამ წაგებამ, უბრალოდ, დაგვასამარა.

**— როცა თქვენი გოლი ანგარიში 3:1 გახდა და ბარსელონას 3 გოლის გატანა დასჭირდა, ალბათ, ჩათვალეთ, რომ საქმე მოთავსებული იყო.**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაფერი პირიქით იყო. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ სწორედ ამ მომენტში არ შეიძლებოდა მოდუნება. გვესმოდ, რომ ბარსელონა გაიხსნებოდა და უფრო მეტი შანსი გვექნებოდა კონტრშეტევისთვის... არავინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე შემოტრიალდებოდა. ახლაც დარწმუნებული



ვარ, რომ იმ საღამოს მოხდა ყველაზე დიდი უსამართლობა!

**— რატომ უსამართლობა?**

— ჩართეთ ტელევიზორი და თავიდან ნახეთ თამაში! ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი.

**— მსაჯობას ხომ არ გულისხმობთ?**

— არ მინდა დეტალებში ჩაიძვრა, ჟურნალისტებმაც ყველაფერი ძალიან კარგად იცით... იმ თამაშში ისეთი რაღაცები ხდებოდა, რომელიც სცილდებოდა ლოგიკის ყველაწიარ ზღვარს... მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ, იქ არ ყოფილა მხოლოდ ნეგატიური მომენტები...

**— მომავალ სეზონში რა უნდა იყოს გუნდის მიზანი — საფრანგეთის პირველობის მოგება თუ ჩემპიონთა ლიგის?**

— ვეთანხმები ემერის! ჩვენ უნდა გავიზარდოთ, არ შეიძლება ერთი ადგილის ტყუანა. ეს არის მთავარი. რაც შეეხება არჩევანს, კი ბატონო, ჩემპიონთა ლიგა დიდებული ტურნირია, დიდებული გუნდებით, მაგრამ არ შეიძლება საფრანგეთის ჩემპიონატის დაუფასებლობაც, რადგან სწორედ აქ იქმნება დიდი წარმატების საფუძველი. სრული გულწრფელობით ვამბობ — პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია საფრანგეთის ჩემპიონობის დაბრუნება.

**— მაგრამ გულშემატიკივარი მაინც ჩემპიონთა ლიგას ითხოვს.**

— გასაგებია, მაგრამ არ შეიძლება ერთი რამის დავინყება — ქომაგთა სამყარო, ეს მაინც

ვირტუალური სამყაროა. მე კი მგონია, რომ მთავარი ტურნირი საფრანგეთის ჩემპიონატია. საბედნიეროდ, ფეხბურთში ფული ჯერ კიდევ არ წყვეტს ყველაფერს და აბსურდია იმის თქმა, თითქოს, პსუ-მ უნდა მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, რადგან მდიდარი კლუბია. დიდ წარმატებას სჭირდება დრო, მოთმინება და მოზიტიური ფაქტორების თანხვედრა. ბოლოს და ბოლოს, კონკურენტებიც არ დგანან ერთ ადგილზე.

**— თქვენზე ვილაპარაკოთ.**

— იმედი მაქვს, ამისთვის 10 წუთი გვეყოფა...

**— როგორც იქნა, გასულ სეზონში გამოკვეთილ ფორმად დაგაყენეს. ამან შეცვალა თქვენი თამაში?**

— შეცვალა? არა მგონია, რადგან სწორედ ასეთ თამაშს ითხოვდა ჩემგან პსუ, როცა 2013 წელს გუნდში მოვედი. მანამდე ხომ ნაპოლიშიც ცენტრფორვარდი ვიყავი. ეს ჩემთვის ყველაზე კომფორტული პოზიციაა.

**— თუმცა, ძველ ჩვევას ვერ ღალატობთ და თავდაცვითი ოპერაციებშიც მონაწილეობთ ხოლმე.**

— ამაში მართალი ხართ. ასეთია თამაშის ჩემეული მანერა და მაღლობელი ვარ მწვრთნელის, რომელიც ამ მხრივ გარკვეულ თავისუფლებას მანიჭებს. მგონი, სულაც არ არის აუცილებელი მხოლოდ მეტოქის საჯარბოში გახსნა — როცა თანაგუნდელებს საფრთხის განეიტრალე-

ბაში ვხმარები, ეს გოლზე არანაკლებ მსიამოვნებს.

**— თამაშის განმავლობაში საშუალოდ რამანძილს ფარავთ?**

— დაახლოებით 9-11 კილომეტრს.

**— დაცვას რომ არ ეხმარებოდეთ, უფრო მეტ გოლს გაიტანდით?**

— დარწმუნებული ვარ, ეს არაფერ შუაშია. როცა საკუთარ ნახევარზე ყველაფერი კარგად არის, მეტოქის კართანაც ყველაფერი გამოგივა.

**— თქვენთან კონტრაქტის გაგრძელებით პსუ ცდილობს, კლუბის სახედ, ასე ვთქვათ, საფაქროს ნიშნად გაქციეთ?**

— არა, ეს ჩვეულებრივი მარკეტინგია. მე მხოლოდ დაქირავებული მოსამსახურე ვარ და ჩემი საქმე, პირველ რიგში, მოედანზე უნდა გავაკეთო. თუმცა არ ვამბობ, რომ საჯაროდ არ უნდა გამოვჩნდე. არც ეს შეცვლის ჩემი ცხოვრების სტილს.

**— ცხოვრებაში კი მშვიდი ადამიანი ხართ, საპირისპიროდ იმისა, რასაც მოედანზე ვხედავთ...**

— მოედანზე ფეხბურთით ვცხოვრობ, მთელ ძალასა და ემოციას იქ ვტოვებ. მოედანზე ისეთი ატმოსფეროა, თუ რამეს ვამტყებ ან ცვდები, ამის უფლება ყველას აქვს, მათ შორის — ფეხბურთელებსაც, მსაჯებსაც...

**— ტელევიზორში ხშირად უყურებთ ფეხბურთს?**

— კი, როგორც კი ტელევიზორს ჩავრთავ და რამე საინტერესო გამოჩნდება, რეპორტაჟი იქნება ეს თუ გადაცემა, მაშინვე ვუჯდები და ვუყურებ. შემოძლია, ერთი წლის წინანდელი თამაშებიც ვნახო თავიდან...

**— გასულ სეზონში ბევრს გაკრიტიკებდნენ ტექნიკური ხარვეზების გამო. ამაზე რას იტყობდით?**

— აბოლუტურად ვეთანხმები კრიტიკოსებს! ამაზე ნამდვილად მაქვს საუბარო. ფეხბურთში განვითარება და სწავლა არასოდეს ჩერდება, ჩემს ასაკზეც კი.

**— ამბობენ, კავანის მხოლოდ ისეთი პასი უნდა მისცე, ერთ შეხებაში რომ გაიტანოსო. არ გწყინთ ასეთი შეფასება?**

— არანაირად! ხშირად მართლა ასე გამაქვს გოლები. როცა შეგიძლია, მარტივად გაიტანო, არ მესმის, რა საჭიროა გართულება?

**— პარიზი ძალიან გიყვართ?**

— ცხადია, რადგან სრული კომფორტი მაქვს, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს ხალხში გახსნა და პარიზის ქუჩებში სეირნობა, თუნდაც ეს სხვა ქალაქი იყოს.



### ლიზა ბაგრატიონის გადასვლა დაიხურა

მომღერალ ლიზა ბაგრატიონის გადაცემა „სტუმრად ლიზასთან“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაიხურა.



ეს ინფორმაცია მომღერალმა თავის დაბადების დღეზე გაავრცელა:

– მინდა, ჩემი დაბადების დღე მადლობებით აღვნიშნო! წელს განსაკუთრებით მიხარია რატომღაც... წინა შაბათს დამთავრდა ჩემი გადაცემების ციკლი! ვალიარებ, გული დამწყდა! მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა სალამოს სტუმარს, ჩემს კოლეგებს, მომღერლებს, მუსიკოსებს, ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრს, მადლობა ნდობისთვის და მადლობა ყველას, ვინც ერთგულად გვიყურებდით.

### ნიკა ლომიკა დიხანარი განლა



ტელეწამყვანი ნიკა ლომიკე წლებია, ეკრანიდან გაქრა და გადაცემების წამყვანი აღარ არის, თუმცა სახელოვნობა სფეროს ვერ მოშორდა და დიხანარიობა დაიწყო.

ნიკა პროფესიით არქიტექტორია, თუმცა ახლა სარეკლამო სააგენტო აქვს. გადატვირთული მუშაობის პარალელურად, ის მაინც ახერხებს ძველი ნივთებისგან ორიგინალური სანათების შექმნას. მისი ხელნაკეთი სანათები მომხმარებლებში დიდი მოწონებით სარგებლობს.

ნიკამ თავისი ხელით დამზადებული დეკორატიული სანათების გამოფენა


საკუთარ იუბილეს დაამთხვა.

გამოფენაზე მისულმა სტუმრებმა ნიკას ნამუშევრები მოინახვეს და მისი ორიგინალურობით კიდევ ერთხელ მოიხიბლნენ. სანათების დასამზადებლად ის იყენებს ყველაფერს, წიგნებს, ქანკიებს, სხვის მიერ გადაყრილ ნივთებს. სანათები ჩვეულებრივად ინთება, მაგრამ მის შუქზე წიგნის წაკითხვა არ შეიძლება, თითოეული სანათი დეკორატიულია და ინტერიერის გასაძაბავად არის შექმნილი.

### კალიდოსკოპი

#### ამერიკული ქალაქი ტურისტების მოზღვავეებისთვის ემზადება

ამერიკის პატარა ქალაქი მადრასი ტურისტების მოზღვავეებისთვის ემზადება, რისი მიზნებიც მზის სრული დაბნელება იქნება.



21 აგვისტოს დღით 70 მილის სიგანის ზოლი (თითქმის 113 კილომეტრი) ორეგონიდან სამხრეთ კაროლინამდე წყვილიაში ჩაიძირება. ეს პირველი მზის სრული დაბნელება იქნება აშშ-ის ტერიტორიაზე 1979 წლის შემდეგ და პირველი მზის სრული დაბნელება ქვეყნის ერთი სანაპიროდან მეორემდე 99 წლის განმავლობაში.

მადრასში 6 ათასზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს. როგორც მოელიან, მზის დაბნელებისთვის თვალის სადევნებლად ქალაქში თავს 100 ათასამდე ტურისტი ჩამოვა. ასევე იქ გაიგზავნება ლოულის ობსერვატორიის ექსპერტები, ორეგონის შტატის უნივერსიტეტისა და ნასას წარმომადგენლები.

მზის სრული დაბნელებისთვის თვალის სადევნებლად ასევე იდეალურ ადგილებად დასახლებულია აიდაჰო-ფოლსი (აიდაჰოს შტატი), ლინკოლნი (ნებრასკა), ნეშვილი (ტენესი), კოლუმბია (სამხრეთ კაროლინა)

#### მოდელი ეშლი გრემი ფრანგული ჟურნალისთვის გაშიშვლდა



ტანსრულმა მოდელმა ეშლი გრემმა ჟურნალ ELLE-ს ფრანგული ვერსიისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. კადრები გადაღებიდან, რომლისთვისაც მანეკენი სრულად გაშიშვლდა, მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა. კადრისთვის თანდართულ კომენტარში გრემმა მიუთითა ხეშტეგი სახელწოდებით „გაშიშვლების ეროვნული დღე“. გადაღება ფოტოგრაფმა მეთ ჯონსმა ჩაატარა. მან მოდელის ფოტოსურათები ასევე გამოაქვეყნა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე. მოდელის ფოტოსურათებმა 320 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა, სულ კი მის გვერდს ინსტაგრამში 4,6 მილიონზე მეტი ხელმოწერი ჰყავს.

### სტუდენტებმა საზოგადოების აქტიურ საკითხებზე ფილმები გადაიღეს

„მზიურში“ სტუდენტების მიერ საზოგადოების აქტიურ საკითხებზე გადაღებული ფილმების ჩვენება გაიმართა.

სალამოზე ჯიშას სტუდენტების მიერ შექმნილი 5 დოკუმენტური ფილმი იქნა ნაჩვენები, რომლებმაც საზოგადოებისთვის აქტიური საკითხების წარმოჩენით მაცურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ნამუშევრები თავად ფილმის ავტორებმა წარადგინეს.

ლონისძიების მიზანს დოკუმენტური კინოს პოპულარიზაცია, დოკუმენტურ კინემატოგრაფში ახალი ტენდენციების ცოდნის გაზიარება და შემოქმედებითი ფილმების მიმართ საზოგადოების მეტი დაინტერესება წარმოადგენდა.

ფილმები მაცურებელთა ყველაზე მეტი მოწონების გათვალისწინებით შეირჩა: „ქაოსი-წესრიგი“ – ფილმი XIX საუკუნის თანამედროვე ციფრული ბიუროკრატიის სახეზე, ქაოსური რიტმით შენიღბულ წესრიგზე მოგვითხრობს. „მალარო“ – ფილმში ასახულია მალაროელის ცხოვრება, რომელიც იძულებულია, სწორედ იმ გვირაბში იმუშაოს, რომელიც მის სახლს საძირკველს ურყევს. „მეგობარი“ – რეჟისორი მაცურებელს ვარდისუბნელი ბიჭის ცხოვრებაზე უყვება, რომელიც უმაღლესი სწავლისთვის ემზადება, თუმცა დროის უმეტესს ნაწილს ხან საქონლის ბაზრობაზე, ხანაც ბოსტნეულის მაღაზიაში მუშაობს. „გურამი და ციცილო“ – ფილმი ასახავს კათარზისის ბინადრების ურთიერთობას მუსიკასთან და ერთმანეთთან, რომლებსაც სჯერათ, რომ ახალი თავგადასავლების დაწყება არასდროს არ არის გვიან.



კინოჩვენების ფარგლებში ასევე ნაჩვენები იქნა ლეილა მუსტაფაევა „ღირსება“.

კინოჩვენებების შემდეგ დისკუსია გაიმართა, სადაც შეკრებილმა საზოგადოებამ ქართული დოკუმენტური კინონარმოების პრობლემები და მიღწევები განიხილა.

მამაზადა ეკა ირემაშვილი

### ასტრონომიის 22 ივლისისათვის



**პირი** – დღეს სასიცოცხლო პოტენციური გაძლიერება იწყება. ეს მოვლენა განსაკუთრებით დადებითად აისახება ქალების შრომის ნაყოფიერებაზე. თქვენი ძალისხმევა შეუწყვეტილი არ დარჩება. **ქარი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ერიდეთ აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობას. იყავით ნინდახედი და გარს მხოლოდ კეთილსინამდვილე ხალხი შემოიკრიბეთ. **მზაპაპი** – ახალი საქმის დასაწყებად არაკეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი აქტივობა უსარგებლო იქნება. **ქირისი** – საკმაოდ მძიმე დღეა. თქვენი არაკეთილმოსურნეები გააქტიურდებიან და შეეცდებიან, ზიანი მოგაყენონ. **ლომი** – წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. კომპანიის სული და გული ხართ. **პარნალი** – ახალი საქმის დაწყება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. **სანორი** – როგორც პირად, ისე სამსახურებრივ სფეროში პრობლემები გაქვთ. ნუ იაქტიურდებით. დღეს კარგი იქნება დასვენება ბუნებაში. **რინანალი** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. დროებით გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **მზილროსანი** – იყავით თავშეკავებული ყველგან და საღად იაზროვნეთ. მატერიალური მდგომარეობის მხრივ სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **მისი რაი** – სანამ ახალ საქმეს დაიწყებთ, კარგად დაფიქრეთ: ღირს კი? მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მარნალი** – აქტიური და დინამიკური დღეა. შორეულ ნათესავებთან ურთიერთობას ერთხელ და სამუდამოდ აღადგენთ. **თაშაპი** – კეთილისმყოფელი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად, ასევე ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

### 23 ივლისისათვის


**პირი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **ქარი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **მზაპაპი** – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მიერ პრობლემა წარმოიშობა. ეს არ იქნება სერიოზული ავადმყოფობა, ალბათ, უფრო – პატარა გაციება. ყურადღება მიაქციეთ კვებას. **ქირისი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ლომი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. ნებისმიერი პატარა კამათი დიდ სკანდალში გადაიზრდება. **პარნალი** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **სანორი** – კრიტიკული დღეა, სრულიად შეუფერებელი ახალი საქმის დასაწყებად, სამომავლო გეგმების შესაბამისად. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **რინანალი** – კარგი დღეა ძველი კავშირების აღსადგენად. განწმენისთვის და მშვიდი ხარტ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დაანახებთ. **მზილროსანი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **მისი რაი** – იმედით გაგიცრუვდებათ. მოლოდინი ამაოა. იყავით თვითკრიტიკული. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **მარნალი** – ნუ იაქტიურდებით, განსაკუთრებით – სამსახურში. კეთილისმყოფელი დღეა ახლობლებთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **თაშაპი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, გისუხევენ ბენიუი დლეს! სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით და ნახავთ, რომ არ ინანებთ.

### ახოსვოხი ბ

**შეუღალა:** 1. მხარე ავსტრიაში; 2. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 3. პირველი ქართული ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაცი-აღარღვეული ადამიანი; 8. ქართული მხატვარი; 9. ზღვის კომპოსტო; 11. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა ვაჭრობაში; 12. სუფთა ნატურალური ღვინის ძველბურთი სახელწოდება; 14. დამხმარე თორგმა მათემატიკაში; 16. ენაწარმოება; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი.

**თარაზულა:** 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი გემზე; 7. ბულიონში მოხარშული, დაკეპილი და შეკაშული ხორცის გუნდა; 10. დაბალი საამო ხმით მღერა; 13. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 15. ძველი ბერძენების წარმოდგენით ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობენ; 18. ფრანგული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების სერია; 20. სამედიკტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. თბილისთან დამეგობრებული ბრიტანული ქალაქი.

შეადგინა თ.კობალაშვილი



### წინა ნომერი გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:

**პროსპორდი ა**  
**შეუღალა:** 1. პუნსონი; 2. შუკა; 3. განდი; 4. იზმირი; 6. ხამანკა; 9. „საბუნა“; 13. დოლმენი; 14. ფლუგერი; 15. ნეპერი; 17. პეშა; 18. „სქურა“; 20. ნათე.  
**თარაზულა:** 1. პაშტეტი; 5. ფაცხა; 7. მალხაზი; 8. „ნეკრესი“; 10. ფერმი; 11. დონგი; 12. „ჰაპერი“; 16. კლიკო; 17. პრესა; 19. ლემი; 21. მეტეხი; 22. „მზიური“; 23. ვინიცა; 24. პიმენე.

**პროსპორდი ბ**  
**შეუღალა:** 1. „მეტელი“; 2. გრეგორი; 3. ნატამალი; 4. მუსტიკა; 8. კუსტურიცა; 9. მარმელადი; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. ორბი; 16. პერკუსია; 17. ფოლკლორი; 19. დომინო; 21. სირჩა.  
**თარაზულა:** 5. გასტრიტი; 6. დელაკრუა; 7. პოლიგლოტი; 10. კაბუკი; 13. ტირადა; 15. სტატორი; 18. ვებერი; 20. პუდელი; 22. ემბიადინი; 23. „სიტროენი“; 24. ეჩხაბერი.



აშშ დოლარი — 2.4014



ევრო — 2.7679



ინგლისური სტერლინგი — 3.1313



100 რუსული რუბლი — 4.0655



## 20 ივლისიდან

შოი გვეტაძე  
**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



## მილანს კარიმ ბენეშას ყიდვა სურს



მას შემდეგ, რაც მილანი ჩინელმა ბიზნეს-მენებმა შეიძინეს, ეს გუნდი სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიურია და უკვე რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის ყიდვა მოახერხა.

მილანის შემდეგი სამიზნე მადრიდის რეალის ფრანგი ფორვარდი კარიმ ბენეშეა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო თავდასხმელად ითვლება. მილანი მზად არის, ბენეშას ტრანსფერში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა იტალიელებს ბენეშას ყიდვა მაინც გაუჭირდებათ, რადგან რეალი მას ადვილად არ დათმობს.

## კონტე: „ჩელსიში დიეგო კოსტას აღილი არ არის“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ დიეგო კოსტაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდში კოსტას ადგილი არ არის.



კონტეს თქმით, კოსტამ ახალი გუნდი უნდა მოქმედოს, რადგან ჩელსიში ის აღარ ითამაშებს.

— დიეგო კოსტამ ჩელსისთვის ბევრი გააკეთა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი დროებითია და მან სხვა კლუბში უნდა მოქმედოს. ვფიქრობ, ამაზე საუბარი საჭირო აღარ არის და ჩემთვის ეს თემა დასრულებულია, — განაცხადა ანტონიო კონტემ. კონტეს და დიეგო კოსტას კონფლიქტი ჯერ კიდევ ინგვარში მოუვიდათ, თუმცა მაშინ მათ ეს კონფლიქტი დროებით მოაგვარეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას დიეგო კოსტა.

## ბერნარდესკი კარიერას იუვენტუსში გააგრძელებს



ფიორენტინას ახალგაზრდა ნახევარმცველი ფედერიკო ბერნარდესკი კარიერას ტურინის იუვენტუსში გააგრძელებს. ბერნარდესკი იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მისი ტრანსფერი იუვენტუსს 40 მილიონი ევრო დაუჯდა. ბერნარდესკიმ განაცხადა, რომ ის ბედნიერია იმით, რომ იუვენტუსში თამაშის შესაძლებლობა მიეცა და შეეცდება, მასზე დამყარებული იმედი გაამართლოს.

მათაშვალ ბექა გოგინაშვილი

## იუმოხი

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:  
— დღეს ისევ მაგარი სიცხეა გამოცხადებული და უბრალოდ მოგვკვდება, თუ ჩაბმული ვივლი და, შენი აზრით, რას იფიქრებენ ჩვენი მეზობლები, თუ ჩვენს ეზოში შიშველს დამინახავენ?  
— იფიქრებენ, რომ ფულის გამო მოგიყვანე ცოლად.

...  
ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:  
— ამ სუთი წლის წინ მე და ჩემს ქმარს ერთმა თაღლითმა მეზობელმა ქალმა მისი შენახვის სანაცვლოდ ბინის ჩვენთვის დატოვება შემოგვთავაზა. კიდევ კარგი, რომ უარი ვუთხარით.

— და რატომ არის თაღლითი? რა მოხდა?  
— რა და დღემდე ცოცხალია.

...  
ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, რომ ცოლს გაშორდი, მართალია?  
— ჰო, მასეა.  
— და რატომ? შენ არ ამბობდი, ლამაზია და ფეხები ყურებიდან ეწყება?  
— შენ ის უნდა ნახო, სადა აქვს ყურები???

...  
მამაკაცი ექიმს ეუბნება:  
— ექიმო, თავში პატარა კაცი მიზის და გაუძღმებით იგი-ნება!


— ადვილად მოგვარება-დია. 1000 დოლარი და არანაირი პრობლემა!  
— ექიმო, იცი, რა თქვა ახლა იმ კაცუნამ?

...  
ქალი სასწრაფოში რეკავს:

— ალო! სასწრაფო?  
— დიახ, რა ხდება?  
— ჩემმა ბავშვმა საწერი კალამი გადაყლაპა.  
— კარგი, ახლავე გამოვდივართ.  
— და მანამდე რა ვქნათ?  
— ფანქრით წერეთ...

...  
ქმარი ცოლს ეუბნება:  
— ძვირფასო, ნუ ნერვიულობ, თორემ ნერვიული უჯრედები არ აღდგება!  
— ძვირფასო, შენც დაი-მასხვოვო, რომ შენს ასაკში კბილებიც აღარ ამოდის...  
**მათაშვალ კანა ნატიაშვილი**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი ქართული სამი აკველ კველ თბილისში პატრიარქის ზაფხული ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



## ნეიმარის ჰსპ-ში გადასვლის თაობაზე საუბრები არ წყდება

ბოლო დღეებში ესპანურ პრესაში ძალიან ბევრი ინფორმაციაა ნეიმარის შესაძლო ტრანსფერზე ჰსპ-ში. ბარსელონამ ნეიმარს 200 მილიონზე მეტი სატრანსფერო თანხა დაადო, მაგრამ მას ამ თანხის გადახდაზე თანახმაა. საეჭვოდ იქცევა თვითონ ფეხბურთელიც, რომელიც ამ ყველაფერზე კომენტარს არ აკეთებს და ჭორებს არ უარყოფს. ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია ამ ტრანსფერის შესახებ თითქმის არ არის, მაგრამ ესპანურ პრესაში ისიც კი დაიწერა, რომ ნეიმარმა თავისი თანაგუნდელები გააფრთხილა იმის თაობაზე, რომ მან შესაძლოა ჰსპ-ში გააგრძელოს კარიერა.

## სტივი უანდერი მესამედ დაქორწინდა

ამერიკელი მუსიკოსი, „გრემის“ პრემიის ლაურეატი სტივი უანდერი მესამედ დაქორწინდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთ ამერიკული გამოცემა ავრცელებს. 67 წლის შემსრულებლის რჩეული გახდა 42 წლის ტომიკა რობინ ბრეისი. წყვილის ქორწილი ლოს-ანჯელესში გასული დასვენების დღეებში გაიმართა.

— ეს შესანიშნავი ქორწილი იყო. ცერემონია მდიდრული და მეტად რომანტიკული გამოვიდა. მას ესწრებოდნენ სახელოვანი სტუმრები, მათ შორის ჯონ ლეჯენდი, — განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ.

მისი თქმით, ოჯახს უანდერისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ცერემონიაში მისი ყველა ბავშვი მონაწილეობდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტუმრების წინაშე გამოვიდნენ კენეტ ბრაიან ედმონდსი, რომელიც ცნობილია, როგორც Babyface, ფარელ უილიამსი, ასერი. პატარძლისთვის სერენადა თავად უანდერმა შეასრულა. შეგახსენებთ, რომ მუსიკოსს ცხრა შვილი ჰყავს, მათ შორის ორი მისი ამჟამინდელი მეუღლისგან.



## კრისკოპი 4

შეუღალა: 1. დაბალი რანგის დიპლომატი; 2. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 3. შეშენი, მფარველი ადამიანი; 4. კროსვორდის გამოგონებელი; 6. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ იყო არჩეული აშშ-ის პრეზიდენტად; 9. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მეფასის ძველი სახელწოდება; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 14. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 15. უძველესი ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 17. მოკლენიზიანი სპორტული ნავი; 18. საკათედრო ტაძარი თბილისში; 20. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 1. ირლანდიის დედაქალაქი; 5. მდინარე რომში; 7. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 8. სადილის ან ჩაის ჭურჭლის კომპლექტი; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 11. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესო სპოროვანი მცენარე; 12. სვან მამაკაცთა ცეკვა; 16. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 17. ქვანახშირის უშაქროდ გახურებით მიღებული მალაზარისხოვანი სანავი; 19. მდინარე მამბურგში; 21. კოლუმბიელი პომ-ვარსკვლავი ქალი; 22. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 23. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 24. აღმოსავლური თამბაქოს მოსანევი მოწყობილობა.

შეადგინა თოგოგინაშვილი